

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია  
VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

თბილისის ბაქჰუსი საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია

ცენტრისა და პერიფერიის  
ურთიერთმიმართებათა მრავალფეროვნება  
მუსიკაში

23-25 მაისი  
MAY 2025

DIVERSE RELATIONSHIPS BETWEEN CENTER  
AND PERIPHERY IN MUSIC

THE SIXTH TBILISI INTERNATIONAL MUSICOLOGICAL CONFERENCE

კონფერენციის ორგანიზატორია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორია

ORGANIZER OF THE CONFERENCE IS VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

ძვირფასო კოლეგებო, მეგობრებო და კონფერენციის მონაწილეებო,

მოხარული ვართ, რომ ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის ფარგლებში გვაქვს პატივი, გიმასპინძლოთ ჩვენს საკომპოზიტორო, საშემსრულებლო, შემოქმედებითი და კვლევითი ტრადიციებით მდიდარ სივრცეში – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

საერთაშორისო მუსიკოლოგიური ფორუმები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ კულტურათა დიალოგში, აკადემიური გამოცდილების გაზიარებაში და ახალ ხედვებზე დაფუძნებული კვლევების წარმოჩენაში. ჩვენი კონსერვატორიისთვის ეს კონფერენცია არა მხოლოდ პროფესიული პლატფორმაა, არამედ მეგობრული, შემოქმედებითი და ინოვაციური იდეების გაცვლის შესაძლებლობა.

მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს აქტიური ჩართულობისა, ინტერესისა და ძალისხმევისთვის. გისურვებთ წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობას, შთამაგონებელ მსჯელობებს და ახალ, საინტერესო აღმოჩენებს.



**გიორგი ვაჩნაძე**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

*Dear colleagues, friends and participants of the conference,*

*We are very honored to have the opportunity to host you in our space, which has a rich tradition of composition, performing art, creativity and research – the Tbilisi State Conservatoire – for this important international musicology conference.*

*It is felt that international musicological forums play a crucial role in facilitating dialogue between cultures, as well as the exchange of scientific experience and the presentation of research based on new perspectives. For our conservatoire, this conference is not only a professional platform, but also an opportunity for a friendly, creative and innovative exchange of ideas. I am very happy to see that there are a significant number of presentations on Georgian topics.*

*We would like to express our sincere gratitude to all participants for their active participation, interest and efforts. We hope that your work will be fruitful and inspiring, leading to new discoveries and discussions.*

**George Vatchnadze**

Rector of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire



თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 108 წლისაა. თბილისის კონსერვატორია პირველი უმაღლესი სასწავლებელია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ოფიციალურად იგი 1917 წლის 1 მაისს გაიხსნა. 1924 წელს მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა, 1947 წლიდან კი გამოჩენილი ქართველი მომღერლის – ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს. როგორც არქიტექტურული ძეგლი, კონსერვატორიის შენობა შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. წლების მანძილზე თბილისის კონსერვატორია იყო ევროპული ყაიდის ერთადერთი სამუსიკო სასწავლებელი კავკასიაში. მან ღირსეულად განვლო განვითარების საუკუნოვანი გზა და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებისა და

პროფესიონალთა თაობების აღზრდაში. თბილისის კონსერვატორიამ არა მარტო შეინარჩუნა მუსიკალური განათლების მდიდარი ტრადიციები, არამედ დაიმკვიდრა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი პროფესიული და აკადემიური სასწავლებლის სტატუსი XXI საუკუნეში. დღეს ის კონსერვატორიათა, მუსიკის აკადემიათა და მუსიკის უმაღლესი სკოლების ევროპული ასოციაციის – AEC-ს სრულუფლებიანი წევრია.

კონსერვატორია არა მარტო საგანმანათლებლო ინსტიტუტია, არამედ საკონცერტო ცხოვრების ცენტრი და, ამავე დროს, მუსიკალური ხელოვნების სამეცნიერო კვლევის კერა. თბილისის კონსერვატორია ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ახორციელებს მუსიკის ყველა მიმართულებით. აქ ეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები. იქმნება და გამოიცემა სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. ბეჭდვითი გამომცემლობის პარალელურად ფუნქციონირებს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“.

Today V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire was the first high school not only in Georgia, but in the Trans-Caucasus, it officially opened on 1 May, 1917. In 1924, it was granted the status of a state institution, and since 1947 it has been named after Vano Sarajishvili – a renowned Georgian opera singer. As an architectural monument the Conservatoire building is included among the monuments of cultural heritage.

Over the years Tbilisi State Conservatoire was the only European-style music school in the entire Transcaucasia. It suitably passed a century of development and played significant role in the development of Georgian musical culture and upbringing of generations of professionals. The Conservatoire today is proud of its century-old traditions of practice and scholarship, but has enthusiastically sought to adapt and grow, developing its programme of education to meet international norms, enabling the institution to play an ever-increasing role in a vibrant global community of artists. The Tbilisi Conservatoire is a member of the European Association of Conservatoires (the Association Européenne des Conservatoires – AEC).

Today the Conservatoire boasts significant international connections, and stands not only as a center for education, but also as a research institution – pushing the boundaries of musical practice. Here conferences and symposia of national and international scales are held; scientific and educational-methodological literature is prepared and published. Parallel to print publishing electronic scientific journal “GESJ: Musicology and Cultural Science” has functioned.

2015 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში პირველ თბილისის საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენციას (თსმკ). კონცეფციის თანახმად, კონფერენცია ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და მისი თემატიკა ცვალებადია. იგი მიზნად ისახავს თანამედროვე მუსიკოლოგიის ზოგადი პრობლემატიკის განხილვას, იმ გზებისა და პერსპექტივების გამოკვეთას, რაც განაპირობებს მუსიკოლოგიის სამომავლო განვითარებას; გარდა ამისა, ქართული თანამედროვე მუსიკოლოგიური სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებას და განსხვავებული ტრადიციების მქონე სამეცნიერო სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.

თსკ-ს სამეცნიერო კვლევის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა ქართული მუსიკის კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და მისი წარმოდგენა გლობალურ კონტექსტში, მხატვრული

და ინტერდისციპლინური კვლევები. სწორედ აღნიშნულმა განსაზღვრა წლევანდელი საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის ძირითადი თემა – „ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთმიმართებათა მრავალფეროვნება მუსიკაში“, რომელიც ამ ფართო მიმართულების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს მოიცავს.



In 2015 Tbilisi International Musicological Conference was held at Tbilisi State Conservatoire for the first time in Georgia. According to the concept, the Conference is held biannually and boasts diverse themes. It aims to discuss general problems of contemporary musicology, to show the ways and perspectives which determine further development of musicology; as well as to position modern Georgian school of musicology on international arena, and to contribute to the interchange of information and sharing of experience between scientific schools with different traditions.

According to the TSC strategic development plan of research, priority directions include Reinforcing the internationalization of Georgian music research and presenting it in a global context, artistic and interdisciplinary studies. This is exactly what defined main theme of current conference – DIVERSE RELATIONSHIPS BETWEEN CENTER AND PERIPHERY IN MUSIC, which many important questions of this broad topic.





თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 4 ნოემბერს (არქიტექტორი – ა. შიმკევიჩი, მხატვარ-დეკორატორი – ნოვიკი). დაარსების დღიდან კონსერვატორიის მცირე დარბაზი თბილისის საკონცერტო ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. დარბაზი გათვალისწინებულია როგორც ჯამერული, ასევე სოლო კონცერტებისათვის.

A festive opening of the Recital Hall took place on November 4, 1904 (the architect of the Hall was A. Shimkevich, with famous artist Novik as designer). Since the day of its foundation, the Recital Hall has become one of the most major concert venues in Tbilisi. Recitals and chamber music concerts are usually held here.







კონსერვატორიის დიდი დარბაზი 1938-1941 წლებში, კონსერვატორიის შენობის პირველი რეკონსტრუქციის დროს აიგო (არქიტექტორი შალვა თავაძე) და საზეიმოდ გაიხსნა 1942 წლის 28 იანვარს. დარბაზის ბოლო რეკონსტრუქცია განხორციელდა 2002-2006 წლებში. დიდი დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე, აქვს „Alexander Schuke Potsdam“-ის ფირმის ორგანი, ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, გათვალისწინებულია როგორც ქამერული, ისე სიმფონიური მუსიკის კონცერტებისთვის, ხოლო საორკესტრო ორმო საოპერო სტუდიის სპექტაკლების დადგმის საშუალებას იძლევა.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. აქ ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, კლასიკური და ხალხური მუსიკის კონცერტები, ჯაზის საღამოები, აგრეთვე, მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსები და სხვ.

THE GRAND HALL of the Conservatoire was built in 1938-1941 during the Conservatoire's first period reconstruction (architect Shalva Tavadze) and was officially opened on 28 January, 1942. In 2002-2006 last reconstruction of the building was carried out. The Grand Hall seats around 500 people; it boasts Alexander Schuke Potsdam organ, a digital sound-recording studio. The Hall provides facilities for chamber music and symphony concerts. Its stage and orchestra pit also allow for opera performances. The Grand hall of the Conservatoire is an important cultural center of the country. It hosts an annual international New Year concerts, performances of classical, folk and jazz music, as well as the Conservatoire's International Symposia on Polyphony, The Tbilisi International Piano Competition, the Georgian Competition of Musician-Performers and etc.

ბიბლიოთეკის საგამოგზავლო ოთახი / THE LIBRARY READING ROOM

მონაწილეების რეგისტრაცია / Registration of participants	9:30-17:30
კონფერენციის გახსნა / Opening of the conference	10:00-10:10
<p><b>მთავარი მოხსენება</b>  <b>ფილიპ როს ბულოკი:</b>          ვისი ცენტრი? ვისი პერიფერია?</p> <p><b>KEYNOTE SPEECH</b>  <b>PHILIP ROSS BULLOCK</b>          Whose Centre? Whose Periphery?</p>	10:10-11:00
ყავის შესვენება /COFFEE	11:00-11:20
სესია 1 / Session 1	11:20-12:50
შესვენება / Break	12:50-13:00
სესია 2 / Session 2	13:00-14:00
შესვენება / Break	14:00-14:45
სესია 3 / Session 3	14:45-16:15
ყავის შესვენება /COFFEE	16:15-16:30
სესია 4 / Session 4	16:30-18:00



ბიბლიოთეკის საპითხოვლო ოთახი / THE LIBRARY READING ROOM

<p><b>მთავარი მოხსენება</b>  <b>პიტერ ჯ. შმელცი:</b>  ახლო ურთიერთობები / ცენტრი / „პერიფერია“</p> <p><b>KEYNOTE SPEECH</b>  <b>PETER J. SCHMELZ</b>  Intimacy / Center / "Periphery"</p>	10:00-10:50
ყავის შესვენება /COFFEE	10:50-11:10
სესია 5 / Session 5	11:10-13:10
შესვენება / Break	13:10-13:20
სესია 6 / Session 6	13:20-14:20
შესვენება / Break	14:20-15:00
სესია 7 / Session 7	15:00-17:00
შესვენება / Break	17:00-17:10
სესია 8 / Session 8	17:10-18:40
კონფერენციის შეჯამება / FINAL NOTES	18:40-18:50

## მონაწილეები:

### ავსტრია/ესპანეთი

დანიელ სერანო-გარსია

### ამერბაიჯანი

თურან მამადალიევა

### აშშ

რებეკა მიტჩელი

### აშშ/ კანადა

სელესტ პანიელო

### ბერმანია

ანტონინა კლოკოვა

### ნორვეგია

სტეფან ობინე

### პოლონეთი

ანნა დანდა

ზუზანა დანიეცი

სილვია მაკომასკა

### საქართველო

ნია ბარაბაძე

ეკატერინე ბუჩუკური

მაია (შაკა) ვირსალაძე

ნატალია ზუმბაძე

რუსუდან თაყაიშვილი

ოთარ კაპანაძე

ლეილა მარუაშვილი

ეკატერინე ონიანი

ბაია ჟუჟუნაძე

მაია ტაბლიაშვილი

მარინა ქავთარაძე

გვანცა ღვინჯილია

ეკა ჭაბაშვილი

ალექსანდრე ჭოხონელიძე

### უკრაინა

ასმათ ჭიბალაშვილი

### ხორვათია

იელკა ვუკობრატოვიჩი

## PARTICIPANTS

### AUSTRIA/SPAIN

Daniel Serrano

### AZERBAIJAN

Turan Mammadaliyeva

### CROATIA

Jelka Vukobratović

### GEORGIA

Nia Barabadze

Ekaterine Buchukuri

Eka Chabashvili

Alexander Chokhonelidze

Gvantsa Ghvinjilia

Otar Kapanadze

Marina Kavtaradze

Leila Maruashvili

Ekaterine Oniani

Maia Tabliashvili

Rusudan Takaishvili

Maya (Maka) Virsaladze

Baia Zhuzhunadze

Natalia Zumbadze

### GERMANY

Antonina Klokova

### NORWAY

Stéphane Aubinet

### POLAND

Anna Dańda

Zuzanna Daniec

Sylwia Makomaska

### UKRAINE

Asmati Chibalashvili

### USA

Rebecca Mitchell

### USA/CANADA

Céleste Pagnello

0 1 2 3 4 5 6 7 8 9

PARTICIPANTS



## ფილიპ როს ბულოკი Philip Ross Bullock

ოქსფორდის უნივერსიტეტი  
University of Oxford

ფილიპ როს ბულოკი ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურისა და მუსიკის პროფესორია. ის არის არაერთი წიგნის ავტორი, მათ შორის „ქალურობა ანდრეი პლატონოვის პროზაში“ (2005), „როზა ნიუმარჩი და რუსული მუსიკა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისის ინგლისში“ (2009) და „პიოტრ ჩაიკოვსკი“ (2016). მის მიერ რედაქტირებულ კრებულებს შორისაა „იან სიბელიუსისა და როზა ნიუმარჩის მიმოწერა, 1906-1939“ (2011), „მუსიკის სკანდინავიური გარდევვა: ესთეტიკა, თანამედროვეობა და კულტურული გაცვლა, 1890-1930“ (2021), „სიმღერა ნაციის მიღმა: თარგმანი, ტრანსნაციონალიზმი, შესრულება“ (2021) და „რაზმანიოვი და მისი სამყარო“ (2022). მის კვლევები მხარდაჭერილია ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა ბრიტანეთის აკადემია, დიდი ბრიტანეთის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევითი საბჭო და ლევერჰულმის ტრასტი. იყო მიწვეული მკვლევარი გრენოვლში, პარიზსა და პრინსტონში. 2009 წელს მან მიიღო როგორც ფილიპ ბრეტის პრემია ამერიკული მუსიკოლოგიური საზოგადოებისგან, ისე ფილიპ ლევერჰულმის პრიზი თანამედროვე ენების დარგში.

### ვისი ცენტრი? ვისი პერიფერია?

ლექციაში განიხილება რამდენიმე შემთხვევა, რომელიც ნათელს ჰფენს ურთიერთობებს სხვადასხვა ნაგარაუდევ ცენტრებსა და პერიფერიებს შორის და შემოთავაზებულია მტკიცება, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალაუფლებისა და გავლენის მრავალი აშკარა იერარქია, რომელიც განაპირობებს მათ ფუნქციონირებას, ცენტრი-პერიფერიის ურთიერთობა შეიძლება იყოს გაცილებით რთული, ცვალებადი და მრავალმხრივი. ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში ვხედავ იან სიბელიუსის მუსიკალურ მემკვიდრეობას და გავაანალიზებ, თუ როგორ მოხდა მისი ნაწარმოებები პირველად ბრიტანეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში – არა დედაქალაქ ლონდონის, არამედ პროვინციული ქალაქების მთელი რიგის გავლით, რომლებიც უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდნენ გარე-ფაქტორებთან მიმართებაში, ვიდრე მეტროპოლი. ასევე ვიკვლევ თუ რით მიიზიდა ბრიტანელი მსმენელები და კრიტიკოსები სიბელიუსის მუსიკამ და ვვარაუდობ, რომ მან ხელი შეუწყო ევროპულ მუსიკალურ სამყაროში ბრიტანეთის ადგილის ორამზოვან გააზრებას (ნამდვილად იყო თუ არა ის „das Land ohne Musik“ / „ადგილი მუსიკის გარეშე“ / როგორც ოსკარ შმიცი 1904 წელს ამტკიცებდა?).

სიბელიუსი ასევე განასახიერებს ფინური მუსიკის სტატუსს რუსეთის იმპერიის სასაზღვრო ტერიტორიებზე და ჩემი ლექციის მეორე ნაწილში, განსახილველი თემის ფარგლებში სასაზღვრო ტერიტორიების ან საზღვრების შემთხვევებს მივმართავ. განხილულია ქალაქ ლივინის როლი ახლადშექმნილი უკრაინული სიმღერის ტრადიციის ჩამოყალიბებაში, ავსტრიულ გალიციაში ჰაინეს ლექსების უკრაინულ ენაზე თარგმნის გზით; და დასასრულ, დავსვამ შეკითხვას: რატომ მოხდა ისე, რომ რუსულმა სიმღერებმა რომლებში ჰაფეზის სპარსული პოეზია აჟღერდა, იმპერიის საზღვარი არა პირდაპირ სამხრეთიდან, არამედ გერმანიისა და საფრანგეთის გავლით გადაკვეთა?

PHILIP ROSS BULLOCK is Professor of Russian Literature and Music at the University of Oxford. He is the author of a number of books, including *The Feminine in the Prose of Andrey Platonov* (2005), *Rosa Newmarch and Russian Music in Late Nineteenth and Early Twentieth-Century England* (2009), and *Pyotr Tchaikovsky* (2016). His edited collections include *The Correspondence of Jean Sibelius and Rosa Newmarch, 1906-1939* (2011), *Music's Nordic Breakthrough: Aesthetics, Modernity, and Cultural Exchange, 1890-1930* (2021), *Song Beyond the Nation: Translation, Transnationalism, Performance* (2021), and *Rachmaninoff and His World* (2022). His research has been supported by the British Academy, the UK Arts and Humanities Research Council, and the Leverhulme Trust, and he has held visiting fellowships at Grenoble, Paris, and Princeton. In 2009, he received both the Philip Brett Award of the American Musicological Society and a Philip Leverhulme Prize for Modern Languages.

### Whose Centre? Whose Periphery?

In this talk, I propose to examine a number of case studies that shed light on the relationship between various supposed centres and peripheries, arguing that whilst there many obvious hierarchies of power and influence that govern their operation, the relationship can be more complex, fluid and multidirectional. In the first part of my talk, I will address the legacy of the music of Jean Sibelius, tracing how his works first came to Britain in the early decades of the twentieth century – not through the capital city, London, but through a series of provincial cities that proved more responsive and outward-looking than the metropolis. I will also explore what drew British audiences and critics to Sibelius's music, arguing that he helped make sense of Britain's ambiguous place in the European musical world (was it really “das Land ohne Musik”, as Oskar Schmitz claimed in 1904?).

Sibelius also embodies the status of Finnish music within the borderlands of the Russian Empire, and in the second part of my talk, I turn to other instances of the borderlands or margins. Here, I propose to examine the role played by Lviv in shaping the emergence of the nascent Ukrainian song tradition through the translation of Heine's lyrics into Ukrainian in Austrian Galicia, and I will end by wondering why Russian songs that set the Persian poetry of Hafez passed not directly across the southern border of the Russian Empire, but came via Germany and France.



PETER J. SCHMELZ is Professor in the Department of Comparative Thought and Literature and affiliated faculty at the Peabody Institute (Conservatory) at Johns Hopkins University. He specializes in twentieth and twenty-first century music and culture. His books include *Such Freedom, If Only Musical: Unofficial Soviet Music during the Thaw* (Oxford, 2009); *Alfred Schnittke's Concerto Grosso no. 1* (Oxford, 2019); and *Sonic Overload: Alfred Schnittke, Valentin Silvestrov, and Polystylism in the Late USSR* (Oxford, 2021). His work has received an ASCAP Deems Taylor Award, two ASCAP Deems Taylor/Virgil Thomson Awards, and the Otto Kinkeldey Award for best book from the American Musicological Society. He has also received fellowships from the National Endowment for the Humanities, the American Academy in Berlin, the John Simon Guggenheim Memorial Foundation, and the Fulbright Program (Georgia).

### Intimacy / Center / "Periphery"

What is an intimate history? How can an intimate approach to history reframe our understanding of musical moments from the past? In particular, how can attending to musical intimacies help us understand the complex interactions between the "center" and the so-called "peripheries" of the USSR, before, during, and after its end? In addressing these questions, this paper further develops a theory of intimacy and intimate histories first proposed in relation to Cold War communications and miscommunications (Schmelz 2015a; Schmelz 2015b), applying it now to provide a fuller accounting of the circle of young Ukrainian musicians who came to maturity in the 1960s and have become known collectively as the Kyiv Avant-Garde. Beginning with their rebellious actions in Kyiv in the early 1960s, it traces in greater detail using new sources the fractured lives of, especially, composer Valentin Silvestrov, conductor Igor Blazhkov, and musicologist Galina Mokreeva. Building as well on the arguments in Sharikadze, Sigua, and Schmelz 2024, this paper contends that intimacy incubates potentially robust decolonial potential, leading to a decentered reading of power relations during the late Soviet period. The result is a new framework for understanding the Soviet Thaw, or, more accurately, the multiple Soviet Thaws, their hopes and aspirations along with their perils and traumas.

## პიტერ ჯ. შმელცი Peter J. Schmelz

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი  
Johns Hopkins University



KEYNOTE SPEAKERS  
საპაბიუი არხისანაბლაბი

პიტერ ჯ. შმელცი ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის კომპარატიული ფილოსოფიისა და ლიტერატურის დეპარტამენტისა პიბოდის ინსტიტუტის (კონსერვატორია) პროფესორია. მისი კვლევითი ინტერესები მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მუსიკასა და კულტურას მოიცავს. ავტორია ისეთი წიგნების, როგორიცაა *Such Freedom, If Only Musical: Unofficial Soviet Music during the Thaw* (ოქსფორდი, 2009); *Alfred Schnittke's Concerto Grosso no. 1* (ოქსფორდი, 2019); და *Sonic Overload: Alfred Schnittke, Valentin Silvestrov, and Polystylism in the Late USSR* (ოქსფორდი, 2021). მისი ნაშრომები ორჯერ დაჯილდოვდა ამერიკის კომპოზიტორთა, ავტორთა და გამომცემელთა საზოგადოების (ASCAP) დიმს ტეილორ/ვირჯილ თომპსონის და ოტო კინკლდის პრემიებით ამერიკული მუსიკოლოგიური საზოგადოების წევრის საუკეთესო წიგნისათვის; მიღებული აქვს ჰუმანიტარული მეცნიერებების ნაციონალური ფონდის, ბერლინის ამერიკული აკადემიის, ჯონ საიმონ გუგენჰაიმის მემორიალური ფონდის და ფულბრაიტის პროგრამის (საქართველო) კვლევითი სტიპენდიები.

### ახლო ურთიერთობები/ცენტრი/პერიფერია

რა არის ახლო ურთიერთობების ისტორია? როგორ შეიძლება ისტორიისადმი ამ კუთხით მიდგომამ გარდასახოს წარსულის მუსიკალური მომენტების ჩვენეული გაგება? კერძოდ, როგორ შეიძლება ახლო ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილება დაგვეხმაროს სსრკ-ს „ცენტრსა“ და ე.წ. „პერიფერიას“ შორის არსებული რთული ინტერაქციების გაგებაში მის გაჩენამდე, არსებობის განმავლობაში და შემდეგ? ამ კითხვებზე პასუხისას ეს მოხსენება ავითარებს ახლო ურთიერთობებისა და მათზე დაფუძნებული ისტორიების თეორიას, რომელიც პირველად ცივი ომის დროინდელ კომუნიკაციებსა და მიკროკომუნიკაციებთან (Schmelz 2015a; Schmelz 2015b) მიმართებაში იქნა შემოთავაზებული და ახლა გამოიყენება ახალგაზრდა უკრაინელი მუსიკოსების წრის უფრო სრულყოფილი აღწერისთვის, რომლებიც 1960-იან წლებში მომწიფდა და ცნობილი გახდა კიევის ავანგარდის სახელით. ადრეული სამოციანების კიევში მათი დაუმორჩილებელი ქმედებების მიმოხილვით დაწყებული მოხსენება ახალი წყაროების საფუძველზე, უფრო ღრმად ეხება გახლეჩილ და რთულ ცხოვრებას, განსაკუთრებით კი კომპოზიტორ ვალენტინ სილვესტროვის, დირიჟორ იგორ ბლაჰოვისა და მუსიკოლოგ გალინა მოკრეევის შემთხვევებს. შარიკაძის, სიგუას და შმელცის (2024) არგუმენტებზე დაყრდნობით, მოხსენებაში წარმოდგენილია მტკიცება, რომ ახლო ურთიერთობები პოტენციურად ძლიერ დეკოლონიურ პოტენციალს წარმოშობს, რაც გვიან საბჭოთა პერიოდში ძალაუფლებრივი ურთიერთობების დეცენტრალიზებულ ინტერპრეტაციას იწვევს. ეს კი ახალ საფუძველს ქმნის საბჭოთა დათბობის, უფრო ზუსტად კი, რამდენიმე საბჭოთა დათბობის, მათი იმედებისა და მისწრაფებების, ასევე მათი საფრთხეებისა და ტრავმების გასაგებად.



ნია ბარაბაძე  
Nia Barabadze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების დოქტორანტი. 2023 წელს, გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში, Erasmus + ფარგლებში ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლობდა. ამავე უნივერსიტეტში, 2018-2019 წლებში, გაიარა მაგისტრატურის მეორე კურსი.

2013-2017 წლებში საბაკალვრო საფეხურზე სწავლობდა მუსიკის ჟურნალისტიკის სპეციალობით. მისი, როგორც მუსიკოლოგის ინტერესის სფეროა ქართული ელექტრონული/ ელექტროაკუსტიკური მუსიკა. არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი, 2016 წლიდან მუშაობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მედია წარმოების ბლოკში, სხვადასხვა პოზიციაზე, არაერთ მუსიკალურ თუ კულტურულ-მედიცინურ პროექტზე.

### ქართული პოპულარული ელექტრონული მუსიკა მეინსტრიმულისა და მარგინალური მიმართულებების პრიზმაში

კულტურული გავლენის ცენტრები სხვადასხვა კონტექსტსა თუ დროში მეინსტრიმსა და ანდერგრაუნდს, კულტურასა და კონტრკულტურას, პერიფერიასა და ცენტრს შორის მერყეობს. მე-20 საუკუნის მუსიკის ისტორია სავსეა გარდატეხებით. ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობები არ არის მუდმივი, მათი დინამიკა ცვალებადია და განპირობებულია არაერთი ფაქტორით, მათ შორის პოლიტიკური თუ სოციალური წინააღმდეგობებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით, გლობალიზაციისა და კულტურული გაცვლის მრავალფეროვნებით. საქართველო, თავისთავად წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ფარგლებში არსებულ პერიფერიას, რომელიც ცენტრის გავლენის და დოგმების ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ ამავდროულად, აგრძელებდა თვითმყოფად არსებობასა და განვითარებას. დომინანტური მუსიკალური ტრადიციის, ჟანრებისა თუ ინსტრუმენტების პარალელურად თანაარსებობდა და ძალას იკრებდა მარგინალიზებული, არამეინსტრიმული მუსიკალური ფორმები. 70-იან წლებში ქართული აკადემიური მუსიკის წიაღში დაბადებული ელექტრონული მუსიკა მოგვიანებით პოპულარული მუსიკის მიმართულებას მოიცავს და მეინსტრიმად იქცევა. ნაშრომში შემდეგ კითხვებს გაეცემა პასუხი: როდის და რა ფორმებით ყალიბდება ქართული პოპულარული ელექტრონული მუსიკა, რა ძირითად მიმართულებებს, ჟანრებს მოიცავს და როგორია მისი განვითარების ტენდენციები დღეს? ქართული პოპულარული ელექტრონული მუსიკა ბოლო წლებში ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, მისი შესაძლებლობები უსაზღვროა და ძალიან ბევრ სტილსა თუ ქვეჟანრს მოიცავს. საინტერესოა, როგორ ნაწილდება ამ მრავალფეროვნებაში ცენტრი და პერიფერია დეკოლონიზაციისა და გლობალიზაციის კვალდაკვალ. ხშირად, პერიფერიის მუსიკა განიხილება როგორც ინოვაციის ადგილი, მასში მომუშავე არტისტებსა და მუსიკოსებს კი ახასიათებთ მეტი თავისუფლება ექსპერიმენტირებისას. როგორ ნაწილდება კულტურული გავლენის ცენტრი პოპულარულ ქართულ ელექტრონულ მუსიკაში და ვინ არიან ის არტისტები, ვინც ქმნიან მრავალფეროვან სპექტრს თანამედროვე მუსიკალურ სამყაროში.

Doctoral candidate in the Department of Music History at the V. Sarajishvili State Conservatoire in Tbilisi. She continued the spring semester of 2023 within the Erasmus+ exchange programme at the University of Music and Performing Arts in Vienna. In 2018-2019, she completed the second course of master's studies at the same University. She holds a bachelor degree in music journalism. Her field of interest as a musicologist is Georgian electronic/electroacoustic music. She is the author of several scientific articles, and since 2016 she has been working in the media production block of the Georgian Public Radio in various positions, on a number of musical and cultural-educational projects.

### Georgian Popular Electronic Music Through the Prism of Mainstream and Marginal Trends

Centres of cultural influence fluctuate between mainstream and underground, culture and counterculture, periphery and centre, in different contexts and times. The history of music in the 20th century is full of turning points. The relations between centre and periphery are not permanent, their dynamics are variable and determined by a number of factors, including political or social contradictions, modern technologies, globalisation and the diversity of cultural exchange. Georgia itself was a periphery within the Soviet Union, subject to the influence and dogmas of the centre, but at the same time continuing to exist and develop independently. Marginalised, non-mainstream musical forms coexisted and gained strength alongside dominant musical traditions, genres and instruments. Electronic music, which emerged from the Georgian academic music scene in the 1970s, later entered the popular music scene and became mainstream. The paper seeks to answer the following questions When and in what forms did Georgian popular electronic music take shape, what are its main directions and genres, and what are the trends in its development today? Georgian popular electronic music has developed at a very fast pace in recent years, its possibilities are limitless and include many styles and sub-genres. It is interesting how the centre and the periphery are distributed within this diversity in the wake of decolonisation and globalisation. Often the music of the periphery is seen as a place of innovation, and the artists and musicians working there are characterised by a greater freedom to experiment. It is also important to consider how the centre of cultural influence in Georgian popular electronic music is distributed, and who are the artists creating a diverse spectrum in the modern music world.

Ekaterine Buchukuri Musicologist, PhD, guest lecturer at the Tbilisi State Conservatoire. Recipient of several scholarships from the Rustaveli Fund for Young Scientists (2008/09) and the Italian government (2004, 2006/07). Guest manager at the Rome Opera Theater. Coordinator of Foreign Affairs at the Tbilisi State Conservatoire (2000-2002), teacher at the Experimental Music School (1995-2000) and at the Tbilisi Mikeladze College of Music (2012-2015). In 1999-2015 worked at the Tbilisi State Opera and Ballet Theatre in various management positions: Coordinator of Public Relations and Literary Department, Manager of Special Projects, Head of Administration. TV presenter and host of music programs at Georgian State Television (Channel I, II), Channel 9. Author of about 20 scientific publications. Her main interests are multiculturalism, musical theater and arts management.

### Music and migration: Georgian musicians in Germany

For the analysis of contemporary Georgian artistic processes, it is important to consider and discuss the work of those artists who are currently active outside Georgia. The research presented in this report is an attempt to add to the limited information available on musicians abroad. The choice of topic was determined by the fact that in recent decades many musicians have left Georgia and emigrated abroad. In particular, the fact that I myself have lived mainly in this country for the last 11 years has sparked my interest in musicians living in Germany. The unstable political situation in the 1990s influenced both the socio-cultural development of society as a whole and the personal development of individuals, leading them to continue their personal or professional development outside the country. In general, the attitude towards leaving the country is largely determined by the motivation of self-development. Most of the musicians living in Germany completed their higher education at the State Conservatoire in Tbilisi, but there are also artists who did not complete their studies at the Conservatoire or who emigrated directly after finishing secondary school and continued their studies at music academies in Germany. In my report I will try to answer such important questions as the creative impulses of migrant musicians, their motivation for exploration, the process of establishing themselves in a foreign country and their relationship with Georgia. Of interest is the relationship to Georgia as a local space and as an identifying cultural environment. The discursive analysis and contexts of the role of the artist and the process of self-discovery are presented as characteristics of contemporary migrant musicians and as challenges for the development of international artistic processes across borders. The study is based on interviews with focus groups of musicians from different disciplines.



ეკატერინე ბუჩუკური  
Ekaterine Buchukuri

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

PARTICIPANTS  
მონაწილეები

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მოწვეული პედაგოგი. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის (2008/09), იტალიის მთავრობის სტიპენდიანტი (2004, 2006/07), რომის ოპერის თეატრის სტაჟირი (2007). სხვადასხვა წლებში თბილისის კონსერვატორიის უცხოეთთან ურთიერთობის კოორდინატორი (2000-2002), ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლისა (1995-2000) და ე. მიქელაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (2012-2015). 1999-2004 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ლიტერატურული ნაწილის გამგე, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის კოორდინატორი, სპეც-პროექტების მენეჯერი, თეატრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (2004-2012). არის საავტორო მუსიკალურ-შემეცნიერო სატელევიზიო პროექტების (პირველი არხი, X არხი) და ოცამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი. სამეცნიერო ინტერესების სფეროა კულტურათაშორისი ურთიერთობები. მულტიკულტურალიზმი, მუსიკალური თეატრი, არტ მენეჯმენტი.

### მუსიკა და მიგრაცია: ქართველი მუსიკოსები გერმანიაში

თანამედროვე ქართული სახელოვნებო პროცესების გაანალიზებისათვის უმნიშვნელოვანესია იმ ხელოვანთა საქმიანობის განხილვა, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ. მოხსენებაში წარმოდგენილი კვლევა არის მცდელობა გააფართოოს მწირი ინფორმაციული მასალა, რომელიც მოიპოვება საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე მუსიკოსთა შესახებ. თემის არჩევანი განაპირობა ბოლო ათწლეულებში მუსიკოსთა დიდი ნაწილის საქართველოდან გადინებამ და თავად ავტორის ბოლო 11 წლის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრებამ. 1990-იან წლების არამდგრადმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, გავლენა მოახდინა როგორც ზოგადად საზოგადოების სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ისე ცალკეული ინდივიდების პერსონალურ თვითგანვითარებაზე, რამაც ბიძგი მისცა მათ საკუთარი პერსონალური თუ კარიერული განვითარება ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაეგრძელებინათ. ქვეყნის დატოვებასთან დამოკიდებულება, ძირითადად, თვითგანვითარების მოტივაციითაა ნაკარნახევი. გერმანიაში მცხოვრებ მუსიკოსთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში აქვს მიღებული, თუმცა არიან ხელოვანები, რომლებსაც არ დაუსრულებიათ კონსერვატორიაში სწავლა, ან პირდაპირ საშუალო სამუსიკო განათლების მიღების შემდეგ წავიდნენ ემიგრაციაში და სწავლა განაგრძეს საერთაშორისო უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებში. მოხსენება წარმოადგენს მცდელობას, პასუხი გაეცეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მიგრირებულ ხელოვანთა შემოქმედებითი იმპულსები, ძიების მოტივაცია, მათი უცხო ქვეყანაში დამკვიდრების პროცესი და საქართველოსთან ურთიერთმიმართება. საინტერესოა ქართულთან, როგორც ლოკალურ სივრცესთან და როგორც მაიდენტიფიცირებელ კულტურულ გარემოსთან ურთიერთკავშირი. ხელოვანის როლისა და მისი თვითდამკვიდრების პროცესის დისკურსული ანალიზი და კონტექსტები ემიგრაციაში მყოფ მუსიკოსთა მახასიათებლებად წარმოგვიდგება და საზღვრებს გარეთ საერთაშორისო სახელოვნებო პროცესების განვითარების გამოწვევად გვესახება. კვლევა ხორციელდება სხვადასხვა პროფილის მუსიკოსთა ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვა/ ინტერვიუების საფუძველზე.





ანა დანდა  
Anna Dańda

კრაკოვის კომპოზიციური პენდერეცის  
სახელობის მუსიკის აკადემია

The Krzysztof Penderecki Academy of Music in  
Kraków

ანა დანდა ფლობს ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხს. ამჟამად კრაკოვის კომპოზიციური პენდერეცის სახელობის მუსიკის აკადემიის ევრითმიკის პროგრამის დოქტორანტია. არის ამავე აკადემიის კრეატიულობის, ინტერპრეტაციისა და მუსიკალური განათლების დეპარტამენტის კურსდამთავრებული ევრითმიკის სპეციალიზაციით, ისევე, როგორც ვარშავის შოპენის სახელობის მუსიკის უნივერსიტეტის ცეკვის დეპარტამენტის კურსდამთავრებული ქორეოლოგიისა და ცეკვის თეორიის სპეციალიზაციით. Cracovia Danza Ballet-ის ყოფილი მოცეკვავე. თანამშრომლობდა ვარშავის ნაციონალურ ფილარმონიასთან არის არაერთი აკადემიური სტატიის ავტორი, სადაც ეხებოდა ევრითმიკის თეორიას და მუსიკასა და ცეკვას შორის ურთიერთობას. არის პოლონეთის ქორეოლოგიური ფორუმის წევრი.

### დისკრეტულ სახელოვნებო დისციპლინათა სინთეზი ემილ ჟაკ-დალკროზის ევრითმიკაში – სტრუქტურიდან გამოხატვამდე

ემილ ჟაკ-დალკროზის მუსიკალური საგანმანათლებლო კონცეფციის „ევრითმიკის“ მხატვრული გაფართოება ასახავს მუსიკალურ პარტიტურასა და სხეულებრივ მოძრაობას შორის განუყოფელ კავშირს. ერთი მხრივ, ავტორის მიზანია მუსიკის აქტიურად „განსხეულება“; მეორე მხრივ, რეციპიენტის მომზადება უფრო მდიდარი ესთეტიკური გამოცდილებისთვის.

დალკროზი ამბობდა, რომ „საქმე არ მდგომარეობს მუსიკალური რიტმის ყველა დეტალის მოძრაობით ინტერპრეტაციაში ვიზუალიზაციაში“; ვიტოლდ ლუტოსლავსკი ეწინააღმდეგებოდა მუსიკის ცნების მხოლოდ ცეკვის აკომპანემენტად გაგებას, ისევე, როგორც პარტიტურის სხეულებრივ მოძრაობად მატერიალიზაციის იდეას. მუსიკის ვიზუალიზაციის ეჭვქვეშ დაყენების ეს პროცესი, განსაკუთრებით რიტმული ელემენტების მოძრაობად გარდაქმნის თვალსაზრისით, შესაძლოა დაკავშირებული იყოს დალკროზისა და ლუტოსლავსკის საერთო ცრურწმენასთან, რაც გადმოცემულია ირონიული გამოთქმით „მიკიმუსინგი“. ტერმინი კინოდან მომდინარეობს და გულისხმობს მოქმედებისა და მუსიკის სრულ სინქრონიზაციას, რომელიც მაღალი ხელოვნების კონტექსტში, შესაძლოა, უნებლიედ იუმორისტულად აღიქმებოდეს.

მოხსენების მთავარი მიზანია სოლო მოძრაობების ინტერპრეტაციების ძირითადი მნიშვნელობის კვლევა მუსიკალურ პარტიტურებში, იანუშ ორლიკის ბალეტ „III სიმფონიის“ მაგალითზე. ეს ქორეოგრაფია ეფუძნება ჰენრიკ მიკოლაი გორეცკის „მწუხარე სიმღერების სიმფონიას“ N3. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება ავტორის მხატვრული სადოქტორო ნაშრომის რამდენიმე შერჩეული მაგალითი და განხილული იქნება მუსიკასა და ცეკვას შორის ურთიერთობის – კონტრასტის, დიალოგისა და ინტიმური კავშირის – განმარტებები.

Master of Art. Currently a PhD candidate in Eurythmics at the Krzysztof Penderecki Academy of Music in Kraków. Graduated from the Department of Creativity, Interpretation and Music Education at The Krzysztof Penderecki Academy of Music in Kraków, with a specialization in Eurythmics and from The Chopin University of Music in Warsaw in the Department of Dance, with a specialization in Choreography and Dance Theory. Former dancer with the Cracovia Danza Ballet. She has cooperated with the National Warsaw Philharmonic. An author of academic articles about Eurythmic theory and the relationship between music and dance. A member of the Polish Choreological Forum.

### Reconnoitring the synthesis of discrete art disciplines in Émile Jaques-Dalcroze's eurythmics – from structure to expression

The artistic extension of Émile Jaques-Dalcroze's music educational concept of "eurythmics" depicts an indissoluble relationship between the musical score and bodily movement. On the one hand, the author's intention is to actively "embody" the music; on the other – to prepare the recipient for a richer aesthetic experience. Émile Jaques-Dalcroze said that "the point is not to make all the details of musical rhythms visible in the movement interpretation". Witold Lutosławski objected to the notion of music as a mere accompaniment to dance, as well as to the idea of the materialization of the score through bodily movement. This process of putting music visualization into doubt, especially in respect of transforming rhythmic elements into movement, could be connected to a shared prejudice of Dalcroze and Lutosławski, encapsulated in the ironic expression: Mickey-Mousing. The highlighted term comes from the cinema, and implies a complete synchronisation of action and music, which in the context of high art could be perceived as unintentionally humorous. The main aim of the presentation is to explore the core meaning of solo movement interpretations of musical scores using the example of Janusz Orlik's "III Symphony". This choreography is based on Henryk Mikołaj Górecki's "Third symphony of sorrowful songs". In addition, some select examples of the presenter's artistic PhD work will be detailed, and definitions of the relationship between music and dance – relations of contrast, of dialogue, and of intimate connection – will also be discussed.



Musicologist and music theorist; PhD student at the Krzysztof Penderecki Academy of Music in Krakow (since 2020) and graduate of the Jagiellonian University (2023). Secretary of the journal "Music Theory. Studies, Interpretations, Documentations". Participant of Polish conferences, author of texts and concert notes. Currently, she is writing a doctoral thesis which involves the analysis and interpretation of 20th century music in the light of Catherine Malabou's philosophy of plasticity. In recent years, she has cooperated with the Polish publishings houses (Musica Iagiellonica and PWM) as a consultant, proofreader and author of historical introductions to sheet music publications. Since 2020, she has also been cooperating with the Fryderyk Chopin National Institute, participating in the program of developing data for Polish music sources in the RISM database ("Heritage of Polish Music in Open Access").

### In the Field of Unusual Autonomy: The Category of Musical Accident in the Light of Catherine Malabou's Philosophy of Plasticity

Among contemporary musicological narrative reflections, the presence of categories such as musical non-belongingness, non-normativity and indeterminism, forming a counterbalance to centrality and universality, is raised. With reference to this dichotomy, I would like to present an interpretative category that can be described as "accident in music". "Accident" which, as a phenomenon, essentially can fall into the domain of negativity, is also close in common language to such concepts as "affliction", "dysfunction" or "ailment". As a property of a "problematic nature", it entails a set of such aesthetic qualities as peculiarity, inexplicability and unprecedentedness. This term has also become the subject of reflection by the contemporary philosopher Catherine Malabou. She uses accident as a mental figure that personifies an "event schema" of existence, relevant to the destructive dimension of ontology. An adaptation of Malabou's thought in the sphere of musical interpretation will be made with reference to the works of Jadwiga Sarnecka and Galina Ustovskaya. Their music is characterised by the imperative of individuality, the inordinateness of compositional techniques and a specific, strong expression which goes beyond the boundary of tragedy. Both reception testimonies and musicological observations perceive in the works of both composers a trait of aesthetic non-belongingness and even an impression of historical "non-genealogy". Although "accident in music" primarily evokes associations with the field of negativity, its premise is not to create pejorative narratives, but rather an attempt to give a refreshing perspective to phenomena that touch to some extent on the problem of the periphery in music.

## ზუზანა დანიეცი Zuzanna Daniec

კრაკოვის კომპოზიციური აკადემიის  
სახელმძღვანელო მუსიკის აკადემია  
The Krzysztof Penderecki Academy of  
Music in Krakow



PARTICIPANTS  
მუსიკის აკადემია

მუსიკოლოგი და მუსიკის თეორეტიკოსი; 2020 წლიდან კრაკოვის მუსიკის აკადემიის დოქტორანტი. 2023 წელს დაამთავრა იაგელონის უნივერსიტეტი. არის ჟურნალის „მუსიკის თეორია. კვლევები, ინტერპრეტაციები, დოკუმენტაცია“ მდივანი. პოლონური კონფერენციების მონაწილე, სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ტექსტის და საკონცერტო პუბლიკაციების ავტორი. ამჟამად წერს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც ეხება მეოცე საუკუნის მუსიკის ანალიზსა და ინტერპრეტაციას კატრინ მალაბუს პლასტიკურობის ფილოსოფიის შუქზე. ბოლო წლებში იგი თანამშრომლობდა პოლონურ გამოცემლობებთან (Musica Iagiellonica და PWM), როგორც კონსულტანტი, კორექტორი და სანოტო გამოცემების შესავალი ტექსტების ავტორი. 2020 წლიდან ასევე თანამშრომლობს ფრედერიკ შოპენის ეროვნულ ინსტიტუტთან, მონაწილეობს RISM მონაცემთა ბაზაში პოლონური მუსიკალური წყაროების მონაცემების შემუშავების პროგრამაში („პოლონური მუსიკის მეცნიერება ღია წვდომაში“).

### ურვეულო ავტონომიის ველში: მუსიკალური აქციდენციის<sup>1</sup> კატეგორია კატრინ მალაბუს პლასტიკურობის ფილოსოფიის შუქზე

თანამედროვე მუსიკოლოგიურ ნარატიულ რეფლექსიებს შორის, ცენტრალურობისა და უნივერსალურობის საპირაპირო კატეგორიებად ჩამოყალიბდნენ მუსიკალური არა-მიკუთვნებულობა, არანორმატიულობა და ინდეტერმინიზმი. ამ დიქტომიის გათვალისწინებით, მომხსენებელი წარმოადგენს ინტერპრეტაციულ კატეგორიას, რომლის აღწერაც შესაძლებელია, როგორც „აქციდენცია მუსიკაში“. „აქციდენცია“, რომელიც, როგორც ფენომენი, არსებითად შეიძლება ნეგატივის სფეროში მოექცეს, ყოველდღიურ მეტყველებაში ასევე ახლოსაა ისეთ ცნებებთან, როგორცაა „ბედუკუღმართობა“, „დისფუნქცია“ ან „ავადმყოფობა“. როგორც „პრობლემური ბუნების“ მქონე მახასიათებელი ის გულისხმობს ისეთი ესთეტიკური თვისებების ერთობლიობას, როგორცაა თავისებურება/უცნაურობა, აუხსნელობა და უპრეცედენტობა. ეს ტერმინი თანამედროვე ფილოსოფიის, კატრინ მალაბუს დაკვირვების საგანიც გახდა. ის იყენებს „აქციდენციას“, როგორც მენტალურ ფიგურას, რომელიც განასახიერებს არსებობის „მოვლენათა სქემას“, რაც ონტოლოგიის დესტრუქციულ განზომილებას შეესაბამება.

მალაბუს ნააზრების მუსიკალური ინტერპრეტაციის სფეროში ადაპტირება მოხსენებაში იადვიგა სარნეცკას და გალინა უსტოვსკაიას ნაწარმოებებთან მიმართებაში ხორციელდება. მათი მუსიკა ხასიათდება ინდივიდუალურობის იმპერატივით, კომპოზიციური ტექნიკის არაორდინალურობით და სპეციფიკური, ძლიერი ექსპრესიულობით, რომელიც ტრაგედიის საზღვრებს სცილდება. როგორც რეკიპიენტების აღიარებები, ისე მუსიკოლოგიური დაკვირვებები ცხადყოფს ორივე კომპოზიტორის ნაწარმოებებში ესთეტიკური არამიკუთვნებულობის მახასიათებლის არსებობას და ისტორიული „არა-გენეალოგიურობის“ შთაბეჭდილებასაც კი. მიუხედავად იმისა, რომ „აქციდენცია მუსიკაში“ ძირითადად ასოციაციებს იწვევს ნეგატივის სფეროსთან, მისი არსი არ არის დამაკინებელი ნარატივების შექმნა, არამედ მცდელობა, ახლებური პერსპექტივა შესთავაზოს იმ ფენომენებს, რომლებიც გარკვეულწილად ეხება მუსიკაში პერიფერიის პრობლემას.

<sup>1</sup> აქციდენცია – ფილოს. საგნის შემთხვევითი, არარსებითი, წარმავალი თვისება. განხილულია არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“.



მაკა (მაია) ვირსალაძე  
Maka (Maya) Virsaladze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

კომპოზიტორი, მუსიკოლოგი. როგორც კომპოზიტორი, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებულია. მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო მუსიკალურ პროექტში. 2013 წლიდან არის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, 2011 წლიდან სამუსიკო ხელოვნების დოქტორი. მისი სადოქტორო დისერტაცია ეხებოდა ალექსანდრე ბორცხვაძის ტექნიკას ახალ ქართულ მუსიკაში. რვა წლის განმავლობაში იყო ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. დაინტერესებულია ხელოვნების, რელიგიისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს შორის კავშირით. ამჟამად არის საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფუნდამენტური კვლევის სახელწოდებით „ეკომუსიკოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა ქართული მუსიკალური ეკოსისტემის შესწავლისთვის“ მკვლევარ-კომპოზიტორთა ჯგუფის წევრი. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა კონფერენციებსა და პრაქტიკულ სემინარებში.

### ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის მრავალფეროვნება მუსიკაში: ხმოვანი ოაზისის მაგალითზე

კვლევაში განხილულია ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთქმედება მუსიკალურ კონტექსტში ე.წ. „ხმოვანი ოაზისის“ მაგალითზე. „ხმოვანი ოაზისის“ კონცეფცია გულისხმობს, ბუნებრივ სივრცეს, რომელიც გარკვეულ პირობებში აღიქმება და გამოიყენება მუსიკალურ ინსტრუმენტად. რ. მიურეი შაფერის ხმის პეიზაჟების კონცეფციისა და სამყაროს დარეგულირების იდეის საფუძველზე, ჩვენ ვიკვლევთ, თუ როგორ შეიძლება გახდეს პერიფერიული ბუნებრივი სივრცეები, რომლებიც ტრადიციულად არ არის ჩართული პროფესიულ მუსიკალურ პრაქტიკაში, მხატვრული და გარემოს გამოხატვის ცენტრალური ელემენტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულმა კვლევის ფარგლებში მკვლევართა ჯგუფმა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული „პრომეთეს“ გამოქვაბული გამოიკვლია, როგორც „ხმოვანი ოაზისი“ – მეტაფორა ბგერისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთქმედებისა. ნაშრომი ამგვარი სივრცეების განსაზღვრისათვის უპირატესად მეტაფორულ მიდგომას გვთავაზობს. რაც გულისხმობს პერიფერიული ადგილების, როგორც ბუნებრივი რეზონატორების მეტაფორულ აღქმას, რომლებიც აძლიერებენ და გარდაქმნიან ბგერას. შესაძლებელია ხმოვანი ოაზისის გამოყენება მუსიკალური, უფრო ზუსტად კი ეკომუსიკალური ნაწარმოების შექმნისათვის, რაც გარემოს პერიფერიულ ხმებს ნაწარმოების ცენტრად გადააქცევს. კვლევა ხაზს უსვამს ხმოვანი ოაზისის შემთხვევაში, ეკომუსიკალურ ნაწარმოებში ცენტრის და პერიფერიის როლების ცვალებადობას და ბუნების ხმების მხატვრულ პრაქტიკაში ინტეგრირების მნიშვნელობას.

Composer, musicologist. Winner of various local and international competitions as a composer. Participates in local and international music projects. Since 2013 Associate Professor at the Composition Department of the V. Sarajishvili State Conservatory in Tbilisi, since 2011 Doctor of Musical Art. Her doctoral thesis was about aleatoric technique in a new Georgian music. For 8 years she was the Dean of the Faculty of Composition and Musicology at the Vano Sarajishvili State Conservatory in Tbilisi. She is interested in the connection between the various fields of art, religion and science. At present she is a member of the group of researchers-composers of the project of a basic study entitled “Implementation of Ecomusicology Research Methodology for the Study of the Georgian Music Ecosystem”, which is being carried out with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Has participated in various conferences and practical seminars.

### The Diversity of Center-Periphery Relations in Music: On the Example of a Sound Oasis

The paper examines the interaction between centre and periphery in a musical context, using the example of the so-called “sound oasis”. The concept of a “sound oasis” refers to a natural space that is perceived and used as a musical instrument under certain conditions. Based on R. Murray Schaffer’s concept of soundscapes and the idea of regulating the world, we explore how peripheral natural spaces, traditionally not included in professional musical practice, can become a central element of artistic and environmental expression. As part of a study funded by the Shota Rustaveli National Science Foundation, a group of researchers investigated the “Prometheus” cave in western Georgia as a “sound oasis” – a metaphor for the harmonious interaction of sound and nature. The paper proposes a predominantly metaphorical approach to defining such spaces. This implies a metaphorical perception of peripheral places as natural resonators that amplify and transform sound. It is possible to use a sound oasis to create a musical, or more precisely, an ecomusical work that transforms the peripheral sounds of the environment into the centre of the work. The study emphasises, also in the case of a sound oasis, the changing roles of centre and periphery in an ecomusical work and the importance of integrating the sounds of nature into artistic practice.

Jelka Vukobratović, PhD is an assistant professor at the Department of Musicology of the Academy of Music, University of Zagreb. She graduated flute in 2008 and musicology in 2012. She obtained a PhD from the doctoral school of ethnomusicology at the University of Music and Performing Arts in Graz in 2020. Her doctoral thesis on the position of local musicians in Križevci area and their role in building local social life during socialism and post-socialism was published by the Croatian Ethnological Society. Her research interests are the relationship between traditional music and nationalisms, as well as ethnographic and historiographic approaches to the popular music production in Yugoslavia. She was a research associate on the project The Record Industry in Croatia from 1927 to the end of 1950s of the Croatian Science Foundation.

### Domestication of foreign popular music in the early Yugoslav music industry

One way international repertoire was adapted for local audiences was through the translation of foreign popular songs. This practice, where domestic singers and ensembles performed international hits—often in their national languages—was widespread globally but shaped by specific socio-political contexts and the dynamics of center-periphery relations. In socialist Yugoslavia during the late 1940s and 1950s, this process involved not only navigating political and cultural influences from both the Eastern and Western blocs but also positioning Yugoslavia within a broader cultural hierarchy, where influences from dominant global music centers were absorbed, reinterpreted, and localized.

In the early post-war decades of the Federal People's Republic of Yugoslavia, domestic record production was centered around the Zagreb-based Jugoton factory, which began operations in 1947. Building on some practices from the pre-war record industry, one part of Jugoton's output focused on releasing popular music by international artists. These releases serve as a distinct form of cultural exchange, reflecting the challenges of Yugoslavia's "third-way" cultural politics and the state's efforts to redefine itself during the early Cold War. As the record industry offers insight into how market demands are balanced with socio-political considerations, the choice to produce foreign popular music in a socialist country is particularly telling. Moreover, the foreign songs were frequently adapted both musically and textually—through re-arrangements and translations—further illustrating how Yugoslavia, as a semi-peripheral cultural space, negotiated and mediated global cultural influences within its own national framework.



ფილოსოფიის დოქტორი იელკა ვუკობრატოვიჩი არის ზაგრების უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიის მუსიკოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. 2008 წელს დიპლომი მიიღო ფლეიტის, ხოლო 2012 წელს მუსიკოლოგიის სპეციალობით. დოქტორის ხარისხი მოიპოვა 2020 წელს, გრაცის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის სადოქტორო სკოლაში. მისი სადოქტორო დისერტაცია, კრიჟევეცის მიდამოებში ადგილობრივი მუსიკოსების პოზიციის და როლის შესახებ ადგილობრივ სოციალურ ცხოვრებაში სოციალიზმისა და პოსტსოციალიზმის ხანაში, გამოაქვეყნა ხორვატიის ეთნოლოგიურმა საზოგადოებამ. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ტრადიციული მუსიკისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირს, იუგოსლავიაში პოპულარული მუსიკის წარმოებისადმი ეთნოგრაფიულ და ისტორიოგრაფიულ მიდგომებს. იელკა ვუკობრატოვიჩი იყო ხორვატიის სამეცნიერო ფონდის მკვლევარი თანამშრომელი პროექტზე „ხმის ჩამწერი ინდუსტრია ხორვატიაში 1927 წლიდან 1950-იანი წლების ბოლომდე“.

### უცხოური პოპულარული მუსიკის დომესტიკაცია ადრეულ იუგოსლავიურ მუსიკალურ ინდუსტრიაში

საერთაშორისო რეპერტუარის ადგილობრივ აუდიტორიაში ადაპტირების ერთ-ერთი გზა უცხოური პოპულარული სიმღერების თარგმანებზე გადიოდა. ეს პრაქტიკა, რომელშიც ადგილობრივი მომღერლები და ანსამბლები საერთაშორისო ჰიტებს ასრულებდნენ – ხშირად, ეროვნულ ენაზე – გლობალური მასშტაბით ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ, ჩამოყალიბდა სოციალ-კულტურული კონტექსტებისა და ცენტრი-პერიფერიის ურთიერთობათა დინამიკაში. სოციალისტურ იუგოსლავიაში, გვიან 1940-იანებსა და 1950-იანებში, ეს პროცესი მოიცავდა არა მხოლოდ აღმოსავლეთის და დასავლური ბლოკების პოლიტიკურ და კულტურულ გავლენებში ნავიგაციას, არამედ იუგოსლავიის პოზიციონირებას უფრო ფართო კულტურულ იერარქიაში, სადაც ხდებოდა დომინანტური გლობალური მუსიკალური ცენტრების გავლენის აბსორბაცია, რეინტერპრეტაცია და ლოკალიზება.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ომისშემდგომი ათწლეულების დასაწყისში, შიდა ჩანაწერების წარმოება მთლიანად თავმოყრილი იყო ზაგრების ქარხანა Jugoton-ში, რომელიც 1947 წელს დაარსდა. ხმის ჩამწერი ინდუსტრიის ზოგიერთ ომამდელ პრაქტიკაზე დაყრდნობით, Jugoton-ის ნამუშევრების ერთი ნაწილი საერთაშორისო არტისტების პოპულარული მუსიკის გამოშვებაზე იყო ორიენტირებული. ეს გამოშვებები ჩანაწერები კულტურული გაცვლის განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს, რაც ასახავს იუგოსლავიის „მესამე გზის“ კულტურული პოლიტიკის გამოწვევებს და სახელმწიფოს მცდელობებს, ხელახლა განსაზღვროს საკუთარი თავი ცივი ომის ადრეულ ეტაპზე. ვინაიდან ხმის ჩამწერი ინდუსტრია გვთავაზობს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ბალანსდებოდა ბაზრის მოთხოვნები სოციალურ-პოლიტიკურ მოსაზრებებით, განსაკუთრებით მრავალსიმეტრულია სოციალისტურ ქვეყანაში მუსიკის წარმოებისას არჩევანი უცხოური პოპულარული მუსიკის სასარგებლოდ. გარდა ამისა, უცხოური სიმღერები ხშირად ადაპტირებული იყო როგორც მუსიკალურად, ასევე ტექსტურად – ხელახალი არანჟირებისა და თარგმანების გზით – რაც კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ახერხებდა იუგოსლავია, როგორც ნახევრად პერიფერიული კულტურული სივრცე, საკუთარ ეროვნულ ჩარჩოებში განხორციელებინა გლობალური კულტურული გავლენების კოორდინირება და გაშუალება.





ნატალია ზუმბაძე  
Natalia Zumbadze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

Doctor of Arts, Professor, Head of the Department of Ethnomusicology at the Tbilisi State Conservatoire, senior researcher at the IRCTP, co-founder and member of the women's folk ensemble Mzetamze, founder and director of the student folk ensemble of the Conservatoire, winner of the National Folklore Award; engaged in field collecting, research, pedagogical, educational, concert, editorial and publishing activities.

### Georgian Rural Folk Music and its Performance in the Dynamics of Centre-Periphery Relations (19th-20th Centuries)

As rural (peasant) music moved from its practical function in everyday life to staged performances, its development was significantly influenced by the dynamics between the centre and the periphery. Like any other relationship, the interaction between centre and periphery involves attitudes, connections and mutual influences. In this case, however, the influence of the centre is so dominant that the influence of the periphery becomes minimal or almost imperceptible. Performance norms established in urban centres not only spread to the periphery but also gradually replace traditional practices. As a result, the periphery, once the primary authority on traditional performance, is supplanted by the centre, which assumes the role of the new "legislator" of performance standards. Over time, rural folk music and its performance – originally a reflection of the unique polyphonic musical thinking of the Georgians – underwent a significant transformation. Under the influence of European professional music and urban folklore, it loses many of its original characteristics and eventually takes on a form that deviates from traditional practices.

ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, თსკ ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ტმკს მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზეს“ თანადამაარსებელი და წევრი, კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი. ეწევა საველე-შემკრებლობით, კვლევით, პედაგოგიურ, საგანმანათლებლო, საკონცერტო-საშემსრულებლო, სარედაქტორო და საგამომცემლო საქმიანობას.

### ქართული სოფლური ხალხური მუსიკა და მისი შემსრულებლობა ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობათა დინამიკაში (XIX-XX საუკუნეები)

ყოფაში პრაქტიკული დანიშნულების დაკარგვისა და სცენაზე გადანაცვლების შემდეგ სოფლური (გლეხური) მუსიკა და მისი შემსრულებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობებზე და ამ ურთიერთობათა დინამიკაზე. ნებისმიერი სხვა ურთიერთობის მსგავსად, ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობაც მონაწილე მხარეთა გარკვეულ დამოკიდებულებას, კავშირს და გავლენას გულისხმობს. თუმცა ცენტრის გავლენა ამ შემთხვევაში იმდენად უპირატესია, რომ მის ფონზე პერიფერიისა ნაკლებად, ან თითქმის არ შეიმჩნევა. ცენტრში „დადგენილი“ საშემსრულებლო ნორმები პერიფერიაში არა მარტო ვრცელდება, არამედ ტრადიციულის ნაცვლადაც მკვიდრდება. ამგვარად, პერიფერია, როგორც ტრადიციული შემსრულებლობის „კანონმდებელი“, იცვლება ცენტრით, როგორც შემსრულებლობის ახალი „კანონმდებით“. ქართველთა თვითმყოფადი მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნების ამსახველი სოფლური ხალხური მუსიკა და მისი შემსრულებლობა კარგავს თავის ორიგინალურ ნიშან-თვისებებს და ევროპული პროფესიული მუსიკისა და ქალაქური ფოლკლორის ზეგავლენით ტრადიციულისგან განსხვავებული სახეს იძენს.



MA in Musicology PhD in Pedagogy Rusudan Takaishvili is a music expert consultant at the National Centre for Teacher Professional Development Centre, a trainer and head of pedagogical subjects at the Tbilisi State Conservatoire. As an expert she cooperates with the Ministry of Education and Science of Georgia, the National Examination Centre, the National Centre for Improvement of Educational Quality (accreditation expert). She is the author of the National Music Curriculum (I and II editions), other educational standards and over 45 scientific and methodological publications. She regularly participates in international and local conferences and projects. Her academic interests include music education and contemporary pedagogy. She is a member of the Georgian Composers' Union and a recipient of the Goethe Scholarship.

### The Importance of Music Schools in the Cultural Life of the Region

This paper is a case study focusing on a music education center in the region of Georgia, which has been operating for almost a century. The music school was founded after the establishment of Soviet rule, and since 2007 it has led the Khashuri Association of Music Schools. This association also includes the music schools of Kvishkheti (village) and Surami (town). Initially, the two branches operated independently. Based on the study and discussion of the issue, it was concluded that their autonomy was not compromised during their time within the association. The parent school facilitates the exchange of creative and pedagogical innovations between the schools and helps to solve economic problems. The school is of great importance to the region, as evidenced by the widespread availability of high-quality music education and the vibrant and varied concert life in the area.

## რუსუდან თაყაიშვილი Rusudan Takaishvili

მასწავლებელთა პროფესიული  
განვითარების ეროვნული ცენტრი  
National Centre for Teacher Professional  
Development



PARTICIPANTS  
მონაწილეები

რუსუდან თაყაიშვილი ფლობს მაგისტრის ხარისხს მუსიკოლოგიაში და დოქტორის ხარისხს პედაგოგიკაში. არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი, მიჰყავს პედაგოგიკური დისციპლინები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რეგულარულად ატარებს ტრენინგებს მუსიკის მასწავლებლებისა და ტრენერებისათვის. აქვს სამუსიკო სასწავლებელსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. როგორც ექსპერტი, თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი). არის ეროვნული სასწავლო გეგმის I და II რედაქციების, სხვა საგანმანათლებლო სტანდარტებისა და 45-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური პუბლიკაციის ავტორი. რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და პროექტებში. მისი ინტერესები უკავშირდება სამუსიკო განათლებას, თანამედროვე პედაგოგიკას. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრია, იყო გოეთეს სახელობის სტიპენდიანტი.

### სამუსიკო სკოლის მნიშვნელობა რეგიონში

მოხსენება წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევის ანალიზს და ეხება საქართველოს რეგიონში არსებულ სამუსიკო განათლების კერას, რომელიც თითქმის საუკუნეა, რაც ფუნქციონირებს. სკოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაარსდა, 2007 წლიდან კი ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანებას ხელმძღვანელობს და სოფელ ქვიშხეთისა და დაბა სურამის სკოლებსაც მოიცავს. ორივე ფილიალი დამოუკიდებელი სახით არსებობდა. საკითხის შესწავლისა და განხილვის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ მათი ავტონომიურობა არ დარღვეულა გაერთიანებაში ყოფნის პერიოდშიც. სათავო სკოლა ეხმარება სკოლებს შემოქმედებით და სწავლებასთან დაკავშირებული სიახლეებთან ზიარებაში, ასევე სამეურნეო საკითხების მოგვარებაში. სკოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში, რაც ხარისხიანი სამუსიკო განათლების გავრცელებასა და ინტენსიურ, მრავალფეროვან საკონცერტო ცხოვრებაში აისახება.



ოთარ კაპანაძე  
Otar Kapanadze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (დისერტაციის თემა: „ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები“. თბილისი, 2014). თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. ამავე სასწავლებლის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. თბილისის ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი. 2008-2012 წლებში – „ფოლკლადიოს“ მუსიკალური წამყვანი და რამდენიმე ეთნომუსიკოლოგიური გადაცემის ავტორი. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი (2012-2014 წწ.). ოცამდე ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის მონაწილე. კვლევის ძირითადი სფეროებია: ქართული საფერხულო სიმღერები; აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციული მუსიკა; ქართული საბჭოთა ხალხური სიმღერები; ხალხური მუსიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.

### გავლენების შესახებ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში

რეგიონული მრავალფეროვნების, გეოგრაფიული მდებარეობისა თუ სხვადასხვა ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, ქართული კულტურა, საკუთარ ორიგინალურ ბუნებასთან ერთად, უცხო კულტურებთან მუდმივი კონტაქტით, მათი ზეგავლენითა და გადამუშავება/გაქართულებითაც გამოირჩევა. გამონაკლისი არც ქართული ტრადიციული მუსიკაა, რომელიც არ იკეტებოდა მხოლოდ საკუთარ თავში, თამამად იღებდა უცხოურ მუსიკალურ გამოცდილებას და, ასევე, გასცემდა საკუთარსაც. ზეგავლენის საკითხი ქართულ ტრადიციულ მუსიკაში, ნაწილობრივ, უკავშირდება ცენტრი-პერიფერიის ურთიერთმიმართებასაც. მოხსენებაში მიმოიხილება შემდეგი საკითხები: მელიზმატიკის სიჭარბე ქართულ-კახურ სიმღერებში; კრიმანჭულის გავრცელების არეალი; ქართულ-ჩრდილოკავკასიური კავშირები; ქართული ტრადიციული გალობისა და სიმღერის ურთიერთმიმართება; ქართული ხალხური საკრავების წარმომავლობა; ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი; მეფის რუსეთისა და საბჭოური რეჟიმის როლი ქართული ხალხური მუსიკის ფუნქციონირებაში; ე. წ. „თანამედროვე ფოლკლორი“; საქართველოს ისტორიული კუთხეების ტრადიციული მუსიკა.

Ethnomusicologist, Doctor of Arts (Dissertation: Georgian Round Dance Songs: Peculiarities of Musical Language. Tbilisi, 2014). Assistant Professor at the V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and Dean of the Faculty of Composition and Musicology. Tbilisi E. Mikeladze Central Music School teacher. 2008-2012 radio presenter of FOLKRADIO and author of several ethnomusicological programmes. 2012-2014 was a coordinator in the regions of the State Folklore Centre. Member of about 20 ethnomusicological expeditions. His main fields of research are Georgian Round Dance Songs; Traditional Music of Eastern Georgian Highlands; Georgian Soviet Folk Music; Modern State of Folk Music in Georgia.

### On Influences in Georgian Musical Folklore

Due to its regional diversity, geographical location and different historical circumstances, Georgian culture, with its unique characteristics, is characterised by continuous interaction with foreign cultures. These interactions have resulted in foreign influences that have been incorporated and adapted into Georgian culture. Traditional Georgian music is no exception; it has not remained isolated, but has boldly embraced foreign musical experiences while contributing its own. The question of influence in Georgian traditional music is also related to the centre-periphery relationship. This report discusses the following topics: the abundance of ornamentation in Kartlian and Kakhetian songs; the spread of the Krimanchuli (Georgian yodel); the links between Georgian and North Caucasian musical traditions; the relationship between traditional Georgian chant and song; the origins of Georgian folk instruments; Georgian urban folk music; the role of Tsarist Russia and the Soviet regime in the functioning of Georgian folk music; so-called “modern folklore”; and the traditional music of Georgia’s historical regions.

Antonina Klokova is a musicologist specializing in Soviet music history and musical exile in the 20th century. She is an adjunct lecturer at the Berlin University of the Arts, where she completed her doctorate in 2023 on the topic “Holocaust Remembrance in the Instrumental Works of Mieczysław Weinberg: Compositional Agency within the Boundaries of Soviet Musical Institutions”. From 2013-2017, she was a research assistant at the Chair for the History of Jewish Music at the Institute of Musicology at the Franz Liszt School of Music in Weimar.

### **Activities of German and Austrian conductors in Soviet Georgia in the period from 1933 to 1937: a special case in the contemporary cultural-political paradigm of centre and periphery**

In the first decade and a half of the Soviet Union's existence, the new communist empire sought recognition from, and cooperation with, Western countries – including, to an increasing degree, in the field of musical art. Foreign musicians and conductors regularly toured the country, thereby lending it legitimacy. After the Nazis came to power in Germany and in other European countries, all musicians of Jewish origin were forced to go elsewhere in order to secure their lives and livelihoods. From 1933, a number of them headed to the Soviet Union. Using examples of selected German and Austrian conductors, this proposal aims to uncover the activities and the function of these musicians in Soviet Georgia on the basis of findings from recent archival research. One of the preliminary findings of this research is that foreign musicians were recruited as carriers and transmitters of the Western understanding of music and the globally-recognised musical repertoire in order to shape musical life and specialist training in the Soviet Union accordingly, and to render it competitive. The situation was no different in Soviet Georgia. It turns out that the subject-object relationship or the relationship between the centre and the periphery in the Soviet Union, or in the (musical) culture of the 20th century operates on several levels. This presentation aims to open a discussion on all the topics mentioned here.

## **ანტონინა კლოკოვა** **Antonina Klokova**

**ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტი**  
Berlin University of the Arts



PARTICIPANTS  
მონაწილეები

ანტონინა კლოკოვა მუსიკისმცოდნეა, რომელიც სპეციალიზებულია საბჭოთა მუსიკის ისტორიაზე და მუსიკალურ გადასახლებებზე მეოცე საუკუნეში. ის მიწვეული ლექტორია ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტში, სადაც 2023 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჰოლოკოსტის მემსიერება მეჩხილავ ვაინბერგის ინსტრუმენტულ ნაწარმოებებში: საკომპოზიტორო თვითგამოხატვა საბჭოთა მუსიკალური ინსტიტუციების საზღვრებში“. 2013-2017 წლებში იყო ასისტენტ-მკვლევარი ვაიმარის ფრანც ლისტის სახელობის მუსიკის უმაღლესი სკოლის მუსიკოლოგიის ინსტიტუტის ებრაულ მუსიკის ისტორიის კათედრაზე.

### **გერმანელი და ავსტრიელი დირიჟორების მოღვაწეობა საბჭოთა საქართველოში 1933-1937 წლებში: განსაკუთრებული შემთხვევა ცენტრისა და პერიფერიის თანამედროვე კულტურულ-პოლიტიკურ პარადიგმაში**

საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ დეკადასა და ნახევარში ახალი კომუნისტური იმპერია ესწრაფოდა მოეპოვებინა აღიარება დასავლეთის ქვეყნებისაგან და ეთანამშრომლა მათთან, განსაკუთრებით მზარდი ინტენსივობით – მუსიკალური ხელოვნების სფეროში. საზღვარგარეთელი მუსიკოსები და დირიჟორები რეგულარულად მართავდნენ გასტროლებს სსრკ-ში, რითაც ლეგიტიმურობას სძენდნენ მას. გერმანიაში ნაცისტების ძალაუფლების დამყარების შემდეგ, ებრაული წარმომავლობის ყველა ხელოვანი იძულებული გახდა, სხვაგან გადასახლებულიყო, რაღა უზრუნველყო საკუთარი სიცოცხლეც და საარსებო საშუალებები. 1933 წლიდან, მათი გარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა. შერჩეული გერმანელი და ავსტრიელი დირიჟორების მაგალითების გამოყენებით და ბოლოდროინდელი საარქივო კვლევის შედეგების საფუძველზე, ეს მოხსენება მიზნად ისახავს ამ მუსიკოსების საქმიანობისა და ფუნქციის გამოვლენას საბჭოთა საქართველოში. კვლევის ერთ-ერთი წინასწარი დასკვნა ავლენს, რომ საზღვარგარეთელი მუსიკოსების, როგორც მუსიკის და საყოველთაოდ აღიარებული რეპერტუარის დასავლური გაგების მატარებელთა და გადამცემთა რეკრუტირება ხდებოდა იმისთვის, რომ შესაბამისად ჩამოეყალიბებინათ საბჭოთა კავშირის მუსიკალური ცხოვრება, მოემზადებინათ ადგილობრივი სპეციალისტები და უზრუნველყოფოდათ ამ ყველაფრის კონკურენტუნარიანობა. სიტუაცია არ განსხვავდებოდა საბჭოთა საქართველოშიც. ირკვევა, რომ სუბიექტობიექტს, ანუ, ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობა საბჭოთა კავშირში, ან მე-20 საუკუნის (მუსიკალურ) კულტურაში, რამდენიმე დონეზე მოქმედებს. მოხსენება მიზნად ისახავს აქ ნახსენებ ყველა თემაზე დისკუსიის გახსნას.



სილვია მაკომასკა  
Sylwia Makomaska

ვარშავის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტი  
Institute of Musicology, University of Warsaw

სილვია მაკომასკა ვარშავის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორია. მის საკვლევ ინტერესებს შორისაა ფსიქოაკუსტიკა, მუსიკის კოგნიტური და სოციალური ფსიქოლოგია. ავტორია წიგნისა „მუსიკა ყურადღების პერიფერიაში: Musique d'ameublement-იდან აუდიომარკეტინგამდე“ (2021) და მრავალი სტატია, რომელიც ეძღვნება აბსოლუტური სმენის ფენომენს და სოციალურ კომუნიკაციაში მუსიკის როლს (განსაკუთრებული აქცენტით – ფონური მუსიკის პრობლემაზე). მონაწილეობა აქვს მიღებული საერთო კვლევით პროექტებში რომელიც პროფესორ კენიჩი მიაძაკისთან (ნიიგატას უნივერსიტეტი, იაპონია) და ვარშავის შოპენის სახელობის მუსიკის უნივერსიტეტის მუსიკის აკუსტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობით განხორციელდა.

### (არ)გაგონილი მუსიკა თანამედროვე სავაჭრო ცენტრებში: მსმენელის ყურადღების ცენტრსა და პერიფერიას შორის

თანამედროვე სავაჭრო ცენტრები ე.წ. lo-fi ბგერითი ზონების საინტერესო მაგალითებია, სადაც მყიდველები/მსმენელები მრავალფეროვან სმენით მოვლენებს განიცდიან. სივრცის ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი აუდიომარკეტინგული კომპანიების მიერ მოწოდებული ე.წ. დაპროგრამებული მუსიკაა. რამდენად შეუძლია ამ კონკრეტულ კონტექსტს შეცვალოს მუსიკის აღქმა? სად მდებარეობს ის: მსმენელის ყურადღების პერიფერიაზე თუ მის ცენტრალურ ნაწილში?

ეს შეკითხვები აყალიბებს დისკუსიას მუსიკის აღქმის სტატუსის შესახებ lo-fi გარემოში. 18-დან 30 წლამდე ასაკის ორასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ვარშავის ერთ-ერთ ისეთ სავაჭრო ცენტრში გამართულ „ბგერით გასეირნებაში“, სადაც დანერგილია აუდიომარკეტინგის სტრატეგია. მათ სთხოვეს დამახასიათებელი ადგილების მონიშვნა, დაკვირვებისა და შეფასების კითხვარის შევსება და ხმოვანი გასეირნების დასრულების შემდეგ თხრობითი ესეს დაწერა.

შედეგად, მიღებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების დიდი მრავალფეროვნება, რაც, შემდეგ, დაექვემდებარა მრავალდონიან ანალიზს: თემატურს (ტექსტური მონაცემები), სტატისტიკურს (რაოდენობრივი მონაცემები), სმენითს და სპექტრულს (აუდიო ფაილები). შედეგები აჩვენებს, რომ სავაჭრო ცენტრების შემთხვევაში სიჩუმეს, მუსიკასა და ხმაურს შორის ზღვარი ბუნდოვანია, რადგან მათთვის ამგვარად „თავსმოხვეული“ მუსიკა შეიძლება გახდეს როგორც კაკოფონიური გამოცდილების ნაწილი, ასევე „სიჩუმის ზონები“. ხმოვანი გასეირნების დროს მონაწილეთა 27%-მა (n = 57, N = 208) განაცხადა, რომ მათ არ გამოუცდიათ სიჩუმე, ხოლო მონაწილეთა 75%-მა (n = 151) გამოავლინა სხვადასხვა „სიჩუმის ზონები“, მაშინაც კი, როდესაც ფონად დაპროგრამებული მუსიკა ისმოდა. ამ დაკვირვებებს მივყავართ ხმაურით დაბინძურების შესაძლო გრძელვადიან შედეგებთან, რომლებიც მგრძნობიარობის დაქვეითებას და შეჩვევის პრობლემებს წარმოშობს.

Sylwia Makomaska, assistant professor at the Institute of Musicology (University of Warsaw). Among her scholarly interests are psychoacoustics, cognitive and social psychology of music. She is the author of a book *Muzyka na peryferiach uwagi. Od musique d'ameublement do audiomarketingu* (2021) and dozens of articles on the phenomenon of Absolute Pitch and the role of music in social communication (particularly devoted to the problem of background music). She has participated in research projects realised in the cooperation with prof. Ken'ichi Miyazaki (Niigata University, Japan) and with the Department of Music Acoustics (Fryderyk Chopin University of Music, Warsaw). More information:

<http://imuz.uw.edu.pl/institut/pracownicy/dr-sylwia-makomaska/>

### (Un)heard music in contemporary shopping malls: Between centre and periphery of auditory attention

Modern shopping malls are interesting examples of lo-fi soundscapes where the shoppers/listeners experience diverse auditory phenomena. One of the key factors organising the space is so called programmed music provided by audiomarketing companies. To what extent can this specific context change the perception of music? Where is it located: on the periphery of listeners' attention or in its central area?

These questions shape the discussion on the perceptive status of music in lo-fi environments. More than 200 participants (between 18–30) took a soundwalk in one of the shopping malls in Warsaw where audiomarketing strategy is implemented. They were asked to record the characteristic places, to fill in the questionnaire of observation and evaluation and to write a narrative essay once the soundwalk was finished. As a result, an extensive set of qualitative and quantitative data was obtained, which was then subjected to a multi-stage analysis: thematic (text data), statistical (quantitative data), auditory and spectral (audio files). The results show that in the case of shopping malls the line between silence, music and noise is blurred because imposed music can become both a part of cacophonous experience and “silence zones”. During the soundwalks, 27% of the participants (n = 57, N = 208) declared they did not experience silence and 75% of the participants (n = 151) identified varied “silence zones”, even with the programmed music in the background. These observations lead to the problems of desensitisation and habituation as possible long-term consequences of noise pollution.



Turan Mammadaliyeva is an Associate Professor at the Department of Music Theory at the Baku Music Academy (BMA) named after Uzeyir Hajibeyli. She received a Master's degree from the same Academy in 2000 and defended her dissertation on "Jazz Harmony in the Creativity of Azerbaijani Composers" in 2006, as a result of which she was awarded the degree of Doctor of Philosophy in Art History. Participant of republican and international conferences and festivals, including International Jazz Day (2012, 2015, 2018, 2021), International Music and Dance Conference (2017-2019), International Festival "Caucasus Jazz" (2014-2019), etc.

### Aesthetic Contexts of Azerbaijani Jazz Music: Historical Discourse

The purpose of the presentation is to touch the basic aesthetic perception of jazz music in Azerbaijan in the Soviet and post-Soviet space, comparing different historical formations. The initial stage of the formation of jazz in Azerbaijan is directly related to big band music and entertaining song and dance genres, which were first performed by the first jazz orchestra of Azerbaijan under the direction of Tofig Guliyev in the 1940s. The "jazz" character was perceived mainly through lyrical, entertaining and dance music, which drew its musical language from the sources of folk and urban genres. At the same time, attempts were made to combine elements of the national vocabulary with the musical-expressive system and structure of jazz. The 1950s and 1960s were characterized by the predominance of symphonic music. The principles of the development of symphonic music and the multifaceted perception of jazz music were applied at a high artistic level by Gara Garayev and representatives of his school (R. Hajiyev, F. Garayev). In the 1960s-1970s – the generation of modernists of Azerbaijani jazz (R. Babayev, V. Mustafazadeh, J. Amirov), who remodeled the concept of self-identification, which was expressed through the reliance modality, electronic timbre-sonoristic searches make it possible to create a new linguistic layer, imagery and structuring take place on the basis of folk genres (mughams, national modal system). In the post-Soviet period, the basis of imagery and structuring is total improvisation, intertext and the use of a new technique of composer's writing (S. Gambarov, E. Afrasiyab).

## თურან მამადალიევა Turan Mammadaliyeva

ბაქოს ჰაჯიბეილის სახელობის მუსიკის  
აკადემია  
Baku Music Academy



PARTICIPANTS  
მონაწირები

თურან მამადალიევამ 2000 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი ბაქოს ჰაჯიბეილის სახელობის მუსიკის აკადემიაში, 2006 წელს კი დაიცვა დისერტაცია თემაზე „ჯაზის ჰარმონია აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში“, რის შედეგადაც მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში. არის რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების და ფესტივალების მონაწილე; მათ შორის: ჯაზის საერთაშორისო დღე (2012, 2015, 2018, 2021), მუსიკისა და ცეკვის საერთაშორისო კონფერენცია International (2017-2019), საერთაშორისო ფესტივალი Caucasus Jazz (2014-2019) და სხვ.

### აზერბაიჯანის ჯაზური მუსიკის ესთეტიკური კონტექსტები: ისტორიული დისკურსი

მოხსენების მიზანია შეეხოს ჯაზური მუსიკის ფუნდამენტურ ესთეტიკურ აღქმას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანულ სივრცეში, სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციაში. აზერბაიჯანში ჯაზის ფორმირების საწყისი ეტაპი პირდაპირ უკავშირდება ბიგ-ბენდების მუსიკას და გასართობი სიმღერისა და ცეკვის ჟანრებს, პირველად შესრულებულს 1940-იან წლებში აზერბაიჯანის პირველი ჯაზ-ორკესტრის მიერ ტოფიგ გულიევის ხელმძღვანელობით. „ჯაზური“ ხასიათი მეტწილად აღიქმებოდა ლირიკული, მსუბუქი, საცეკვაო მუსიკის მეშვეობით, რომლის მუსიკალური ენაც ფოლკლორული და ქალაქური მუსიკის ჟანრებიდან იღებდა სათავეს. ამავდროულად, ეროვნული ლექსიკის ელემენტებისა და ჯაზის მუსიკალურ-გამომსახველობითი სისტემისა და სტრუქტურის შერწყმის მცდელობებიც არსებობდა. 1950-60-იან წლებში აღინიშნება სიმფონიური მუსიკის დომინირება. ამ ჟანრის განვითარების, და ჯაზური მუსიკის მრავალმხრივი აღქმის პრინციპებს მაღალმხატვრულ დონეზე იყენებენ ყარა ყარაევი და მისი სკოლის წარმომადგენლები (რ. ჰაჯიევი, ფ. ყარაევი). 1960-იან და 1970-იან წლებში გამოჩნდა აზერბაიჯანული ჯაზის მოდერნისტების თაობა (რ. ბაბაევი, ვ. მუსტაფაზადე, ჯ. ამიროვი), რომლებმაც თავიდან გაიზარეს თვითიდენტიფიკაციის კონცეფცია, რაც გამოიხატა მოდალობისადმი დამოკიდებულებაში, ელექტრონულ ტემბრულ-სონორულ ძიებებში, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ახალი ლინგვისტური შრე, სახეობრიობა და სტრუქტურირება ფოლკლორულ ჟანრებზე (მულამები, ეროვნული მოდალური სისტემა) დაფუძნებულიყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში, სახეობრიობა და სტრუქტურირება სრულად იმპროვიზაციულია, ინტერტექსტუალური და ახალი საკომპოზიტორო ტექნიკების გამოყენებაზე ორიენტირებული (ს. გამბაროვი, ე. აფრასიები).



ლეილა მარუაშვილი  
Leila Maruashvili

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

ლეილა მარუაშვილი / საქართველო მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების პროფესორი. 1972 წლიდან დღემდე უძღვება სალექციო სასწავლო კურსებს მუსიკის თეორიის დისციპლინებში, არის საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი, ექსპერტი. 2005-2020 წ.წ. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. 1986 წლიდან სსრკ კომპოზიტორთა კავშირის წევრი, 1990 წლიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრია. ჩართულია კონსერვატორიის საერთაშორისო პროექტებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული კვალიფიკაციების ხელშეწყობის პროგრამაში (განათლების ფასილიტატორი, დარგის ექსპერტი). ატარებს ტრენინგებს საქართველოს ყველა რეგიონში საჯარო და სამუსიკო სკოლებში მასწავლებლებისთვის. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ახალი ქართული მუსიკის პოლიფონიის, მუსიკალური ფორმის და თეორიული დისციპლინების სწავლების მეთოდის კვლევასთან. მონაწილეობა აქვს მიღებული რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში. არის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სალექციო კურსების („პოლიფონიის ისტორია. დიდი პოლიფონიური ციკლი XX საუკუნის კომპოზიტორთა შემოქმედებაში“, „პოლიფონიის თეორია“), მონოგრაფიის („პოლიფონია თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში“), ელექტრონული სახელმძღვანელოების, მეთოდური სასწავლო სახელმძღვანელოს, სტატიების, ბუკლეტების ავტორი.

### თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის მასწავლებელთა მომზადების გამოცდილება: ტრადიციები და პერსპექტივები (მაია ტაბლიაშვილთან თანაავტორობით)

მოხსენება ეძღვნება მუსიკის მასწავლებელთა პროფესიული მომზადების აქტუალურ პრობლემას და საქართველოს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ მოდელს. განხილულია მუსიკის პედაგოგთა პროფესიული მომზადების თავისებურებები და მუსიკალური განათლების სტრუქტურა ევროკავშირის ქვეყნებში. ევროპული სისტემების ქართულთან შედარებისას ხაზგასმულია მუსიკალური განათლების პრიორიტეტული მნიშვნელობა ზოგადი პროფესიული განათლების სფეროში და ყურადღება გამახვილებულია მუსიკის მასწავლებელთა მომზადების დამკვიდრებულ ორ ძირითად მოდელზე – ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო სკოლებისთვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკალური პედაგოგიკის მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების ანალიზი. ასევე, მოხსენების ავტორები წარმოგვიდგენენ კონსერვატორიაში ბოლო წლებში განმავლობაში წარმატებულად განხორციელებულ „მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას“; აღწერილია მისი სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგიური ინოვაციური ასპექტები, რომელთა რეალიზაცია აყალიბებს მუსიკის პედაგოგების ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს. მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პროგრამის შემდგომი განვითარების აუცილებლობასა და რეალურ განხორციელებაზე, ისეთი მოდელის შექმნის პერსპექტივით, რომელიც თანამედროვე შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა სასწავლო ფორმატისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, საშუალებას მოგვცემს მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოს რეგიონებში; აქცენტის დედაქალაქიდან პერიფერიაზე გადატანა კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ძალზედ აქტუალურ პრობლემას – ზოგადი მუსიკალურ-პედაგოგიური განათლების დონის ამაღლებას ქვეყნის კულტურული პოლიტიკის კონტექსტში.

Musicologist, Doctor of Arts, Professor at the Music Theory Department of the V. Sarajishvili State Conservatory in Tbilisi. Since 1972 he has been leading theoretical and specialisation courses at BA, MA and doctoral levels. In 2005-20 he worked in the Quality Assurance Office of the Tbilisi State Conservatoire; since 1996 he has been a member of the Union of Composers of the USSR, since 1990 he has been a member of the Creative Union of Georgian Composers. Dr. Maruashvili has participated in various international projects and obtained a professional qualification as an educational facilitator from the Promotion Project of the Ministry of Education and Science of Georgia. She has conducted trainings on various topics for public music schools. Dr. Marushvili's academic research focuses on modern Georgian polyphonic music, its musical form and theoretical disciplines within research methodology. She has participated in national and international scientific conferences, symposia and seminars. She is the author of more than 70 scientific articles, including the course of lectures: "History of polyphony. Great Polyphonic Cycles of 20th Century Composers", "Theory of Polyphony", a monograph "Polyphony in the Creative Works of Modern Georgian Composers", e-books, as well as study textbooks, articles and booklets.

### Experiences of Music Teacher Training at the Tbilisi State Conservatoire: Traditions and Prospects (co-authored with Maia Tabliashvili)

The paper addresses the current challenges in professional music teacher training and examines historically established models within the Georgian higher education system. It discusses the characteristics of music teacher training and the structure of music education in EU countries. In comparing European systems with the Georgian approach, the paper emphasizes the priority given to music education within general vocational education and focuses on two dominant models of music teacher training – one for general education and one for specialised music schools. In accordance with the objectives of the study, an analysis of the accumulated experience in music education at the Tbilisi State Conservatoire was carried out. The authors present the "Educational Programme for the Training of Music Teachers", which has been successfully implemented at the Conservatory in recent years. They describe its structure, aims, objectives and innovative methodological aspects, which together develop the knowledge, practical skills and competences required of music teachers. The paper highlights the need for further development and effective implementation of this programme, with the aim of creating a model that uses modern skills and various educational formats and technologies to make music teacher training accessible in all regions of Georgia. Shifting the focus from the capital to peripheral areas will in turn help to address a pressing issue – raising the level of general music education within the context of the country's broader cultural policy.

Rebecca Mitchell is Associate Professor of History at Middlebury College, USA. She is the author of numerous scholarly articles and two monographs: *Sergei Rachmaninoff* (Reaktion Press, 2022) and *Nietzsche's Orphans: Music, Metaphysics and the Twilight of the Russian Empire* (Yale University Press, 2015). *Nietzsche's Orphans* was awarded the 2016 W. Bruce Lincoln Book Prize by the Association for Slavic, East European and Eurasian Studies (ASEEES). Her current research uses sacred chant as a lens through which to explore local, regional, national and religious forms of identity across the late Russian Empire and early Soviet Union, with particular focus on the South Caucasus (Georgia). She has received research funding from numerous sources, including the Council of American Overseas Research Centers, the American Research Institute of the South Caucasus (ARISC), the Paul Sacher Stiftung, the Canadian Social Sciences and Humanities Research Council (SSHRC), and the Havighurst Center for Russian and Post-Soviet Studies.

### Institutions and Individuals in the Georgian Orthodox Chant Revival (1883-1917)

The history of Georgian sacred chant has typically been framed in light of its key preservationists and performers, a narrative that has supported active attempts to revive its practice in the late Soviet and post-Soviet eras. Yet this account overlooks important social groups and institutional frameworks who played an important role in shaping efforts for Georgian sacred chant revival in the late nineteenth and early twentieth century. For instance, in an 1883 report to the Exarch of the Georgian Orthodox Church, Polievtkos Karbelashvili (then teacher of Church-Georgian Singing in the boys' and girls' *dukhovnye uchilishche* in Tbilisi/Tiflis) highlighted the central importance of schools as the most important way to preserve chant tradition. Moreover, though seldom mentioned in official narratives, records show that girls and women were enthusiastic participants in the Georgian chant revival, both as students at ecclesiastical schools and even as choir directors. This paper draws on archival materials from the Georgian National Centre for Manuscripts and the National Historical Archives to trace attempts to transform Georgian sacred chant through reinscribing it into Orthodox Church institutions. The early chant publications of the Karbelashvili brothers are put into conversation with their work as chant teachers at Georgian seminaries and *uchilishche* to offer a broader understanding of how the chant revival played out against the institutional backdrop of the Orthodox Church in the Georgian Exarchate.

## რებეკა მიტჩელი Rebecca Mitchell

მიდლბერი კოლეჯი  
Middlebury College



PARTICIPANTS  
მონაწილეობა

რებეკა მიტჩელი მიდლბერი კოლეჯის (ვერმონტი, აშშ) ისტორიის ასოცირებული პროფესორია. ავტორია მრავალი სამეცნიერო სტატიისა და ორი მონოგრაფიის – „სერგეი რახმანინოვი“ (Reaktion Press, 2022) და „ნიცშეს ობლები: მუსიკა, მეტაფიზიკა და რუსეთის იმპერიის მწუხრი“ (Yale University Press, 2015). ეს უკანასკნელი 2016 წელს დაჯილდოვდა ბრუს ლინკოლნის სახელობის ჯილდოთი წიგნისათვის, რომელიც დააწესა სლავური, აღმოსავლეთ ევროპული და ევრაზიული კვლევების ასოციაციამ (ASEEES). მიმდინარე სამეცნიერო პროექტში საეკლესიო გალობა წარმოდგენილია, როგორც ობიექტივი, რომლის საშუალებითაც ხდება იდენტობის ლოკალური, რეგიონული, ნაციონალური და რელიგიური ფორმების კვლევა გვიანდელ რუსულ იმპერიასა და ადრეულ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებული ფოკუსით სამხრეთ კავკასიაზე (საქართველო). მიღებული აქვს არაერთი საკვლევი გრანტი ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა ზღვისიქითა კვლევების ამერიკული ცენტრები, სამხრეთ კავკასიის კვლევების ამერიკული ინსტიტუტი, (ARISC), პაულ ზახერის ფონდი, კანადის სოციალური მეცნიერებებისა და ჰუმანიტარიის კვლევის საბჭო (SSHRC) და ჰევიგურსტის სახელობის რუსული და პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრი.

### ინსტიტუციები და პიროვნებები ქართული მართლმადიდებლური გალობის აღდგენის საქმეში (1883-1917)

ქართული საეკლესიო გალობის ისტორია, ჩვეულებრივ, განიხილება მისი მთავარი ფიგურების – შემომნახველების და შემსრულებლების შუქზე, ესაა ნარატივი, რომელიც ეხმარება მისი პრაქტიკის აღორძინების აქტიურ მცდელობებს გვიან საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქებში. და მაინც, ამგვარი მიდგომა მხედველობის არიდან უშვებს მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფებს და ინსტიტუციურ ჩარჩოებს, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის მცდელობათა ჩამოყალიბებაში. მაგალითად, 1883 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ეგზარქოსისადმი მიწერილ ანგარიშში პოლიეფქტოს კარბელაშვილმა (მაშინდელი საეკლესიო-ქართული გალობის მასწავლებელი თბილისსა ვაჟთა და ქალთა სასულიერო სასწავლებლებში) ხაზი გაუსვა სკოლების ცენტრალურ მნიშვნელობას, როგორც გალობის ტრადიციის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ ნარატივებში იშვიათად არის ნახსენები, ჩანაწერები აჩვენებს, რომ გოგონები და ქალები ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ქართული გალობის აღორძინებაში, როგორც საეკლესიო სკოლების მოსწავლეების, ასევე გუნდის ხელმძღვანელების რანგშიც კი. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ეროვნული ისტორიული არქივის საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მოხსენებაში გამოკვლეულია ქართული საეკლესიო გალობის ტრანსფორმაციის მცდელობები მართლმადიდებლურ საეკლესიო ინსტიტუციებში მისი რეინტეგრაციის მეშვეობით. ძმები კარბელაშვილების მიერ ქართული გალობის საგამომცემლო საქმიანობა განიხილება ქართულ სემინარიებსა და სასწავლებლებში მათ გალობის მასწავლებლებად მუშაობასთან ერთად, რათა შეიქმნას უფრო ფართო კონტექსტი უკეთ გასაგებად, თუ როგორ მოხდა გალობის აღორძინება საქართველოს საეგზარქოსოში მართლმადიდებლური ეკლესიის ინსტიტუციურ ფონზე.





## სტეფან აობინე Stéphane Aubinet

ოსლოს უნივერსიტეტი  
University of Oslo

Stéphane Aubinet is a Postdoctoral Fellow at the University of Oslo. He is conducting research in the anthropology of music, with a focus on lullabies and Sámi singing traditions. His publications include a monograph devoted to the songs of the Sámi People (*Why Sámi Sing: Knowing through Melodies in Northern Norway*, Routledge in 2023). His core interests lie in the ontology of songs and their potential as ways of knowing and engaging with human and non-human presences.

### Lullabies for the Lords, in Georgia and Beyond

Lullabies seem present across most human societies, but present significant variation in the way they are performed and conceptualised. This paper presents research results from a four-year project comparing lullaby practices in Europe and beyond, through literature reviews and fieldwork in Northern Norway. Although the author has not conducted fieldwork in Georgia, the genres of iavnana and nana, as they are documented in the work of ethnomusicologists, came to play a significant role in the project. Looking at their diverse manifestations, from therapeutic rituals against infectious diseases to staged polyphonic performances, Georgian practices are noteworthy not only in themselves, but also for the light they shed on lulling traditions from other parts of the world. By articulating the iavnana as a focal “centre” with a “periphery” of other approaches to lullabies, this presentation tackles the issue of “lullabies for the lords.” In the Georgian context, this expression may evoke rituals designed to appease Batonebi spirits (‘the Lords’), capricious beings perceived as responsible for infectious diseases. From a wider perspective, the iavnana is illustrative of a wider cross-cultural tendency to sing lullabies to figures of authorities, especially kings. The presentation thus tackles the issues: Who do we sing lullabies for?

სტეფან აობინე ოსლოს უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტია. მისი კვლევა მუსიკის ანთროპოლოგიის სფეროში ფოკუსირებულია ნანებზე და სამის ხალხების ტრადიციებზე. აღსანიშნავი პუბლიკაციებიდან უნდა გამოიყოს მონოგრაფია, რომელიც სამის ხალხის სიმღერებს ეძღვნება (*Why Sámi Sing: Knowing through Melodies in Northern Norway*, Routledge 2023). მისი ძირითადი ინტერესის სფეროა სიმღერების ონტოლოგია და მათი პოტენციალი, როგორც ადამიანებისა და არა-ადამიანური არსებების შეცნობისა და მათთან ურთიერთობისას.

### ნანები ბატონებისთვის: საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ

ნანები და მათი ნაირსახეობები, როგორც ცნობილია, არსებობს ადამიანური საზოგადოებების უდიდეს ნაწილში, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებებია მათი შესრულებისა და კონცეპტუალიზაციის გზებში. ეს მოხსენება შედეგია ოთხწლიანი საკვლევითი პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავდა ნანას პრაქტიკების შედარებას ევროპასა და მის საზღვრებს მიღმა ლიტერატურული მიმოხილვებისა და ჩრდილოეთ ნორვეგიაში წარმოებული სავსელ სამუშაოების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს არ უწარმოებია სავსელ სამუშაო საქართველოში, იავნანასა და ნანას ჟანრებმა იმ სახით, როგორც ისინი არიან დოკუმენტირებული ეთნომუსიკოლოგების ნაშრომებში, პროექტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. დაკვირვება მათ სხვადასხვაგვარ გამოვლინებაზე, ინფექციური დაავადებების სამკურნალო რიტუალებიდან დაწყებული დადგმული პოლიფონიური წარმოდგენებით დამთავრებული, ქართული პრაქტიკა აღსანიშნავია არა მხოლოდ თავისთავად, არამედ იმიტაც, რომ ისინი ნათელს ჰფენენ ნანების ტრადიციებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილიდან. „იავნანას“ ერთგვარ „ცენტრად“ და ნანებისადმი სხვა მიდგომების „პერიფერიებად“ განსაზღვრით ეს მოხსენება ეხება „ბატონების ნანინას“ საკითხს. ქართულ კონტექსტში ეს გამოთქმა შეიძლება აღნიშნავდეს რიტუალს, რომლის მიზანია დააშოშმინოს „ბატონები“ – ჭირვეული სულები, რომლების აღიქმებიან, როგორც პასუხისმგებლები ინფექციურ დაავადებებზე. უფრო დიდ პერსპექტივაში კი, იავნანა წარმოადგენს ილუსტრაციას ფართო კროს-კულტურული ტენდენციისა, რომელშიც მას უმღერიათ ავტორიტეტულ ფიგურებს, განსაკუთრებით – მეფეებს. ამგვარად, პრეზენტაციის მთავარი საკითხია: ვის ვუმღერით იავნანებს?

Musicologist, PhD. Associate Professor at the V. Sarajevilli State Conservatory in Tbilisi (Department of Music Theory), Lecturer at the Giorgi Mtatsmindeli School of Chant. Her scientific interest is focused on music palaeography, research of old Georgian church music and neumatic notation, issues of melismatic chant. She is also interested in music theory. Teaches courses in music theory and music palaeography at undergraduate, postgraduate and doctoral levels. Has published articles in academic journals in Georgia and abroad. Has taken part in national and international conferences. Since 2014 – is one of the founders and participants of the Georgian music section at the International Annual Conference of Medieval and Renaissance Music (together with Kh. Managadze, T. Chkheidze, E. Chabashvili).

### On the Issue of the Relationship Between Georgian-Byzantine Chant Culture

The Georgian singing culture is characterised by its profound originality. The polyphony of Georgian chant, the uniqueness of the ancient Georgian musical notation, its difference from the notations of other Christian centres testify to its development independent of other influences. However, if we consider Georgian church culture in the general Christian context, we cannot ignore the events caused by various influences. It is well known that Byzantium was the legislator in the Eastern Christian world. Although Georgia was never part of the Byzantine Empire, the Georgian Church, as an integral part of the Orthodox Christian world, shared all the rules and canons of worship. Georgian hymnographers immediately translated Greek hymnography into Georgian, and the Octoechos system created by John of Damascus became the basis of Eastern Christian and, of course, Georgian church singing. Given the religious and political links between Byzantium and Georgia, the question of Byzantine influence naturally arises. This report examines Georgian-Byzantine relations in the religious sphere, paying particular attention to the similarities and differences between the musical notation systems developed in these two churches.

## ეკატერინე ონიანი Ekaterine Oniani

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire



PARTICIPANTS  
მონაწილეები

მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, თბილისის გიორგი მთაწმიდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის პედაგოგი. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია სამუსიკო პალეოგრაფიასთან, იკვლევს ძველ ქართულ საეკლესიო მუსიკასა და ნევმურ დამწერლობას, ქართული გამმწვენიებული გალობის, ასევე, მუსიკის თეორიის საკითხებს. მიჰყავს მუსიკის თეორიისა და სამუსიკო პალეოგრაფიის კურსები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე. ავტორია რიგი სამეცნიერო შრომებისა. გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მონაწილეობას იღებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. 2014 წლიდან არის შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის მუსიკის საერთაშორისო ყოველწლიურ კონფერენციაზე ქართული მუსიკის სექციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მონაწილე (ხ. მანაგაძეს, თ. ჩხეიძესა და ე. ჭაბაშვილთან ერთად).

### საქართველო-ბიზანტიის სამგალობლო კულტურის ურთიერთობის საკითხისთვის

ქართული სამგალობლო კულტურა უაღრესი თვითმყოფადობით გამოირჩევა. ქართული გალობის პოლიფონიურობა, უძველესი ქართული სამუსიკო დამწერლობის ინდივიდუალობა და განსხვავება სხვა ქრისტიანული კერების დამწერლობისაგან მეტყველებს მის სხვათა ზეგავლენისაგან დამოუკიდებელ განვითარებაზე. თუმცა, ქართული საეკლესიო კულტურის ზოგადქრისტიანულ კონტექსტში მოაზრებისას, გვერდს ვერ ავუვლით სხვადასხვა ზემოქმედებით გამოწვეულ მოვლენებს. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, ბიზანტია კანონმდებლის როლში გვევლინება. მართალია, საქართველო არასდროს ყოფილა ბიზანტიის იმპერიაში, მაგრამ საქართველოს ეკლესია, მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს განუყოფელი ნაწილი, იზიარებდა ღვთისმსახურების ყველა წესსა და კანონს. ქართველი ჰიმნოგრაფების მიერ დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ქართულად ბერძნული ჰიმნოგრაფიის ნიმუშები, იოანე დამასკელის მიერ შექმნილი რვა ხმის სისტემა დაედო საფუძვლად აღმოსავლეთ საქრისტიანოს და ცხადია, ქართულ საეკლესიო გალობასაც. ბიზანტია-საქართველოს სარწმუნოებრივი და პოლიტიკური კავშირების გათვალისწინებით, ბუნებრივად დგება ბიზანტიის ზეგავლენის საკითხი. მოხსენებაში განხილულია ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები სასულიერო სფეროში, ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ორივე ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბებული სამუსიკო დამწერლობის სისტემების მსგავსება-განსხვავების საკითხზე.





## სელესტ პანიელო Céleste pagniello

პრინსტონის უნივერსიტეტი  
Princeton University

სელესტ პანიელო ფლობს მუსიკის ბაკალავრის ხარისხს (მაკ გილის უნივერსიტეტი, 2018) და ფილოსოფიის მაგისტრის ორმაგ ხარისხს, მოპოვებულს კემბრიჯის უნივერსიტეტში (2020, 2021). პროფესორ მარინა ფროლოვა-უოკერისა და დოქტორ რორი ფინინის ხელმძღვანელობით მისი სამაგისტრო კვლევების თემატიკა იყო: ბორის ასაფიევი და ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი“ და საბჭოთა ბელარუსული პოეზიის როლი თანამედროვე ბელარუსული ეროვნული იდენტობის დამკვიდრებაში. ის ასევე არის ხელოვნების მაგისტრი (პრინსტონის უნივერსიტეტი 2023). ამჟამად პრინსტონის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტია. დისერტაციაში, რომელსაც პროფესორ საიმონ მორისონს ხელმძღვანელობით წერს, მკვლევრის ყურადღების ცენტრშია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და მისი როლი მეფის რუსეთისა და საბჭოთა პერიოდში საქართველოს კოლონიზაციის პროცესებში. არის კანადის მთავრობის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის საბჭოს (SSHRC) სადოქტორო საკვლევი სტიპენდიის მფლობელი.

### მკვდარი სულები და ცოცხალი მოროდორები: ფინანსური თაღლითობა თბილისის ოპერაში 1930-იან წლებში

საბჭოთა საქართველოში, ადრეულ 1930-იან წლებში, თბილისის ოპერის თეატრის იურისტმა გახსნა საავტორო ჰონორარების გადახდის თაღლითური საქმე, რომელიც ოპერის თეატრის მამულისადმინისტრაციის მიერ იყო ავტორიზებული. აუდიტის ჩატარების შემდეგ, ადვოკატმა გიორგი ჟორდანამ მისი მიგნებების შესახებ საქართველოს სსრ მთავრობას აცნობა, რასაც მოჰყვა პროცესი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ბრალდებულმა ადმინისტრაციამ ჟორდანას დევნა და შევიწროება დაიწყო, რაც დოკუმენტურად აისახა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ მამულისებელ სტატიაში მოსწრებული სათაურით „მკვდარი სულები და ცოცხალი მოროდორები“. ესაა იშვიათი დოკუმენტი, რომელიც შიგნიდან წარმოაჩენს სისტემურ კორუფციას საბჭოთა კულტურულ ინსტიტუტებში. ეს სტატია ჟორდანას სამართლებრივ ბრძოლას და მის შედეგებს ათავსებს უფრო ფართო – საბჭოთა კავშირის კულტურული პოლიტიკისა და ადრეულ საბჭოთა წლებში კომპოზიტორების არასტაბილური ეკონომიკური რეალობის – კონტექსტში. წამყვანი ქართველი კომპოზიტორები, ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე, ჟორდანას მხარეს იდგნენ ოპერის თეატრის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სასამართლო პროცესისას. ერთმანეთისადმი მიწერილ მათ წერილებში, ასევე, შემონახულია ცნობები არამართლმომიერი ფინანსური ქმედებების და მათი ეფექტების შესახებ საბჭოთა – და არარუს – კომპოზიტორებზე. ამის მაგალითია ფალიაშვილის თავშეკავება, გაგზავრებინა პარტიტურები საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ოპერის თეატრებისთვის და მისი გამუდმებული ბრძოლა მოსკოვში წარმოდგენილი მისი ოპერებისთვის ჰონორარის მოსაპოვებლად, მხატვრული ექსპლუატაციის კულტურაზე მიუთითებს. ჟორდანას სასამართლო ჩანაწერების, სასამართლო დოკუმენტების და ქართველ კომპოზიტორებთან და საბჭოთა ჩინოვნიკებთან პირადი მიმოწერის საფუძველზე, ეს კვლევა აშკარავებს სახელმწიფო ხელისუფლებასა და კულტურულ წარმოებას შორის ურთიერთობას კავკასიაში ადრეული საბჭოთა წლების განმავლობაში. რეალობა არ იყო სასიამოვნო: საბჭოთა იმპერიის პერიოდში კომპოზიტორები განიცდიდნენ რასობრივ დისკრიმინაციას, გაღატაკებასა და ექსპლუატაციას, ყველაფერი ეს კი იმ „ეროვნული მუსიკალური ტრადიციის“ სახელით, რომელიც, საბოლოოდ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას უჭერდა მხარს.

Céleste Pagniello holds a Bachelor of Music degree from McGill University (2018), and two Master of Philosophy degrees from the University of Cambridge (2020, 2021), where her research, supervised by Professor Marina Frolova-Walker and Dr. Rory Finnin, focused on Boris Asafyev and The Fountain of Bakhchisarai ballet, and the role of Soviet Belarusian poetry on the establishment of the present Belarusian national identity. She also holds a Master of Arts in Music from Princeton University (2023) where she is currently undertaking a PhD in musicology. Her dissertation, supervised by Professor Simon Morrison, is focused on the Georgian National Opera and Ballet Theatre in Tbilisi, Georgia, and its role in the Russian and Soviet colonization of Georgia. Céleste holds a Doctoral Fellowship from the Government of Canada's Social Sciences and Humanities Research Council (SSHRC).

### Dead Souls and Living Marauders: Financial Fraud at the Tbilisi Opera House in the 1930s

In early 1930s Soviet Georgia, a lawyer for the Tbilisi Opera House uncovered a case of embezzlement involving fraudulent royalty payments authorized by the opera house's administration. Following an audit, the lawyer, Giorgi Zhordania, reported his findings to the Georgian SSR, resulting in a trial before the Supreme Court of Georgia. Zhordania faced harassment from the accused administration, documented in a pointed exposé titled “Dead Souls and Living Marauders,” published in the newspaper Komsomolskaya Pravda. This document provides a rare insider account of systemic corruption in Soviet cultural institutions. This paper situates Zhordania's legal battle and its fallout within the broader context of Soviet cultural policy and the precarious economic realities of composers in the early Soviet years. Leading Georgian composers Zakaria Paliashvili and Meliton Balanchivadze, who supported Zhordania in his trial against the opera house, also corresponded with him about financial malfeasance and its effect on Soviet—and non-Russian—composers. In particular, Paliashvili's reluctance to share scores with opera houses outside Georgia and his repeated struggles to secure royalties for performances in Moscow point to a culture of artistic exploitation. Drawing on Zhordania's trial notes, court documents, and personal correspondence with Georgian composers and Soviet officials, this study illuminates the relationship between state power and cultural production in the Caucasus in the early Soviet years. The reality was not a pleasant one; composers on the periphery of the Soviet empire endured racial discrimination, impoverishment, and exploitation, all in the name of creating a national music tradition that ultimately only supported Soviet power.

Ph.D student in cultural studies at Tbilisi State University. Master in Musicology. Research fellow at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire. International relations manager at Georgi Mtatsmindeli University of Chant. Her scholarly interest is focused on the interrelation and interaction of Georgian and adjacent musical cultures.

### **Meskhetian Musical Dialect in the context of cultural-political processes (On the Example of the XIX-XX centuries)**

Since 1901, rich collections of recordings of traditional Georgian music have been preserved in various audio archives in Georgia. Among them, Meskhetian songs are among the least recorded and therefore Meskhetian music is one of the least studied Georgian musical dialects. Ethnomusicological research on Meskhedi did not begin until the 1930s for the following reasons: since the 1830s, this region had been the site of a territorial dispute between the Tsarist Russian Empire and the Ottoman Empire, followed by one between the USSR and Turkey. Access to the region was strictly controlled by the Soviet KGB. It was not until the 1960s that an in-depth study of Meskhetian folk music was undertaken by Valerian Maghradze. Most of his material consists of monophonic songs. While studying the monophonic material, the central question arose: what was the main cause of the disappearance of the oldest indigenous polyphonic style in this region of Georgia?

The research offers the following hypothesis: the long-term process of the loss of polyphony is connected with the three centuries of Ottoman rule in this part of Georgia, as well as with the Islamisation of the local population. The situation was later aggravated by the processes of immigration caused by the hostile policies of Tsarist Russia. The above-mentioned immigration and related cultural-political processes were the central factor in the disappearance of the autochthonous musical culture. As these issues have not been studied so far, this paper is the first attempt to answer these and related questions.

## **ბაია ჯუჟუნაძე Baia Zhuzhunadze**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის  
საერთაშორისო ცენტრი

International Research Center for Traditional  
Polyphony of Tbilisi State Conservatoire



PARTICIPANTS  
მონაწილეები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების პროგრამის დოქტორანტი; მუსიკოლოგიის მაგისტრი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი; გალობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ქართულ და მეზობელ მუსიკალურ კულტურებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედების საკითხები.

### **მესხური მუსიკალური დიალექტი კულტურულ-პოლიტიკური პროცესების კონტექსტში (XIX-XX საუკუნეების მაგალითზე)**

1901 წლიდან არსებობს ქართული ტრადიციული მუსიკის ჩანაწერების მდიდარი კოლექციები, რომლებიც დაცულია საქართველოს სხვადასხვა აუდიო არქივში. მათ შორის მესხური სიმღერები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დაფიქსირებული და შესაბამისად, მესხური მუსიკა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ქართული მუსიკალური დიალექტია. მესხეთის ეთნომუსიკოლოგიური შესწავლა მხოლოდ 1930-იან წლებში დაიწყო რიგი მიზეზების გამო: 1830-იანი წლებიდან ეს რეგიონი იყო ტერიტორიული დავის საგანი მეფის რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიებს შორის. ეს დავა მემკვიდრეობით გადაეცა სსრკ-სა და თურქეთის რესპუბლიკას. მესხეთის რეგიონში შესვლას მკაცრად აკონტროლებდა საბჭოთა უშიშროება. ეს ჩაკეტილობა დიდ წილად იყო მიზეზი იმისა, რომ მესხური ხალხური მუსიკის სიღრმისეული შესწავლა მხოლოდ 1960-იან წლებში დაიწყო და საქმე ვალერიან მაღრაძეს უკავშირდება.

მალრაძის ჩანაწერების უმეტესობა მონოფონიური ნიმუშებია. მონოფონიური მასალის კვლევის დროს ჩნდება ცენტრალური კითხვა: რა გახდა უძველესი ავტოქტონური მრავალხმიანი სტილის გაქრობის მთავარი მიზეზი? კვლევის შემოთავაზებული ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: მრავალხმიანობის ქრობის ეს ხანგრძლივი პროცესი დაკავშირებულია ოსმალეთის იმპერიის სამსაუკუნოვან ბატონობასთან საქართველოს ამ ნაწილში, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ისლამიზაციასთან. მდგომარეობა მოგვიანებით კიდევ უფრო გაუარესდა მეფის რუსეთის მტრული პოლიტიკით გამოწვეული მიგრაციული პროცესებით. ზემოხსენებული მიგრაციული და მასთან დაკავშირებული კულტურულ-პოლიტიკური პროცესები იყო ძირითადი ფაქტორი, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მუსიკალური კულტურის გაქრობა. რამდენადაც მოცემული საკითხი აქამდე არ ყოფილა კვლევის საკითხი, ნაშრომი წარმოადგენს საკითხის დასმის პირველ მცდელობას.



## დანიელ სერანო Daniel Serrano

ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო  
ხელოვნების უნივერსიტეტი და  
ლაიფციგის ფელიქს მენდელსონ  
ბართოლდის სახელობის მუსიკისა და  
თეატრის უნივერსიტეტი

University of Music and Performing Arts Vienna  
and University of Music and Theatre "Felix  
Mendelssohn Bartholdy" Leipzig

Daniel Serrano was born in Spain in 1991. He studied composition and music theory at the mdw in Vienna. From 2018, he was a lecturer in music theory at the same university, where he has been a senior lecturer since 2022. He is doing his doctorate on Salvatore Sciarrino at the HMT Leipzig.

### Salvatore Sciarrino's Confrontation with Tradition in his Opera Macbeth after William Shakespeare

Salvatore Sciarrino's Macbeth, also known as the "Three Acts without a Name after Shakespeare" as the composer himself described it, was completed in 2002. Based on the tragedy of the same name by the most influential playwright of the English Renaissance, this opera was premiered on 6 June 2002 at the Schwetzingen Festival by the SWR Orchestra Stuttgart under the direction of Johannes Debus. The libretto, which was written by Sciarrino himself, has been greatly condensed and reduced in comparison to Giuseppe Verdi's opera of the same name (Korentschnig 2011).

The famous Italian opera composer of the 19th century is, however, present in Sciarrino's Macbeth, as musical quotations from his Un ballo in maschera and Mozart's Don Giovanni can be recognised in its second act, indicating that Sciarrino's composition is deeply rooted in classical culture. His style, often referred to as "The Music of Silence", now also leads to actual sound explosions in Macbeth (Hagmann 2002), which convey the expression of evil, violence and death. This effect is created by the blown and whipping sounds (Jungheinrich 2002), which occur alongside Sciarrino's typical chirping, breathing, hissing, howling, knocking, whispering and crunching sounds.

My research question is therefore focussed on how Sciarrino connects tradition with his opera Macbeth and how he integrates the evil, violence and death depicted by Shakespeare into his style. With the help of an in-depth examination of the score, I will also identify the compositional strategies that result in a sound world consisting of old and new elements.

დაიბადა ესპანეთში 1991 წელს. სწავლობდა ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში. 2018 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტში მუსიკის თეორიის ლექტორია, 2022 წლიდან – უფროსი ლექტორი. ამასთანავე, სწავლობს ლაიფციგის ფელიქს მენდელსონ ბართოლდის სახელობის მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, სადაც დისერტაციას წერს სალვატორე შარინოს შემოქმედების შესახებ.

### სალვატორე შარინოს დაპირისპირება ტრადიციასთან მის ოპერაში „მაკბეთი“ შექსპირის მიხედვით

სალვატორე შარინოს „მაკბეთი“, ასევე ცნობილი, როგორც „სამი მოქმედება სახელის გარეშე, შექსპირის მიხედვით“ – როგორც თავად კომპოზიტორმა აღწერა, 2002 წელს დასრულდა. რენესანსის ეპოქის ყველაზე გავლენიანი ინგლისელი დრამატურგის ერთსახელიან ტრაგედიაზე დაფუძნებული ეს ოპერა პირველად იმავე წლის 6 ივნისს, შვეტცინგერის ფესტივალზე წარმოადგინა შტუტგარტის ორკესტრმა იოჰანეს დებუსის ხელმძღვანელობით. ლიბრეტო, რომელიც თავად შარინომ დაწერა, ჯუზეპე ვერდის ამავე სახელწოდების ოპერასთან შედარებით მნიშვნელოვნად შეკუმშული და შემცირებულია (Korentschnig 2011).

თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის იტალიელი კომპოზიტორი შარინოს „მაკბეტში“ მაინც წარმოდგენილია ციტატების სახით „ბალ-მასკარადიდან“; ასევე, შესაძლებელია მეორე აქტში მოცარტის „დონ ჯოვანის“ ამოცნობაც, რაც ავლენს შარინოს ნაწარმოების ღრმა კავშირებს კლასიკურ კულტურასთან. მისი სტილს, ხშირად მოხსენიებულს, როგორც „სიჩუმის მუსიკა“, „მაკბეთში“ ნამდვილ ხმოვან აფეთქებებთან მიყვავართ (Hagmann 2002), რაც ბოროტების, ძალადობისა და სიკვდილის ატმოსფეროში გადაყვავართ. ეს ეფექტი იქმნება ბერვისა და ტყლაშუნის ხმებით (Jungheinrich 2002), რომლებიც ჩნდებიან შარინოსთვის ტიპური ჟღერტულის, სუნთქვის, სისინის, ყმუილის, კაკუნის, ჩურჩულისა და ჭრიალის საუნდებთან ერთად ისმის.

მოხსენების კვლევითი პრობლემა ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ აკავშირებს შარინო ტრადიციას თავის ოპერა „მაკბეტთან“ და როგორ ახდენს ის შექსპირის მიერ აღწერილ ბოროტების, ძალადობისა და სიკვდილის თავის სტილში ინტეგრირებას. პარტიტურის სიღრმისეული შესწავლის დახმარებით, გამოვლენილია კომპოზიციური სტრატეგიები, რომლებიც ძველი და ახალი ელემენტებისგან შემდგარი ბგერითი სამყაროს შექმნის შედეგია.



Musicologist, Doctor of Arts; Associate Professor at the Department of Music Theory of the Vano Sarajishvili State Conservatory of Tbilisi. At various times she has been Director of Doctoral Programmes (2010-2013), Head of Studies Department (2013-2021), Head of Admissions and Registration Department (since 2021) at TSC. She graduated from the Faculty of Musicology of TSC; dissertation – “The Role of Polyphony in Georgian Chamber Instrumental Ensemble Music” (2005). Since 2006 she has been teaching polyphony, analysis of musical compositions and theory of musical styles at TSC. The main interest of her scientific research is polyphonic characteristics of Georgian music; she has published more than 30 scientific articles and participated in national and international conferences. M. Tabliashvili is the co-author (with D. Arutinov-Jincharadze) of the monograph “Polyphony in Works by Georgian Composers” (2016) and a three-volume chrestomathy “Polyphony in Georgian Music”.

### Experiences of Music Teacher Training at the Tbilisi State Conservatoire: Traditions and Prospects

(co-authored with Leila Maruashvili)

The paper addresses the current challenges in professional music teacher training and examines historically established models within the Georgian higher education system. It discusses the characteristics of music teacher training and the structure of music education in EU countries. In comparing European systems with the Georgian approach, the paper emphasizes the priority given to music education within general vocational education and focuses on two dominant models of music teacher training – one for general education and one for specialised music schools. In accordance with the objectives of the study, an analysis of the accumulated experience in music education at the Tbilisi State Conservatoire was carried out. The authors present the “Educational Programme for the Training of Music Teachers”, which has been successfully implemented at the Conservatory in recent years. They describe its structure, aims, objectives and innovative methodological aspects, which together develop the knowledge, practical skills and competences required of music teachers. The paper highlights the need for further development and effective implementation of this programme, with the aim of creating a model that uses modern skills and various educational formats and technologies to make music teacher training accessible in all regions of Georgia. Shifting the focus from the capital to peripheral areas will in turn help to address a pressing issue – raising the level of general music education within the context of the country's broader cultural policy.

## მაია ტაბლიაშვილი Maia Tabliashvili

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire



PARTICIPANTS  
მონაწილეები

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; სხვადასხვა წლებში იყო თსკ დოქტორანტურის კოორდინატორი (2010-2013), სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2013-2021), სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2021-დღემდე); 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „პოლიფონიის როლი ქართულ კამერულ-ინსტრუმენტულ საანსამბლო მუსიკაში“. 2006 წლიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიჰყავს, ძირითადად, პოლიფონიის, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის და მუსიკის სტილების თეორიის კურსები; იკვლევს ქართულ მუსიკაში პოლიფონიის გამოვლინების შემთხვევებს; გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია; მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში. არის თანავტორი (დ. არუთინოვ-ჯინჭარაძესთან ერთად) ნაშრომისა „პოლიფონია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“ (2016) და ასევე სამტომიანი ქრესტომათიისა „პოლიფონია ქართულ მუსიკაში“.

### თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის მასწავლებელთა მომზადების გამოცდილება: ტრადიციები და პერსპექტივები (ლეილა მარუაშვილთან თანავტორობით)

მოხსენება ეძღვნება მუსიკის მასწავლებელთა პროფესიული მომზადების აქტუალურ პრობლემას და საქართველოს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ მოდელებს. განხილულია მუსიკის პედაგოგთა პროფესიული მომზადების თავისებურებები და მუსიკალური განათლების სტრუქტურა ევროკავშირის ქვეყნებში. ევროპული სისტემების ქართულთან შედარებისას ხაზგასმულია მუსიკალური განათლების პრიორიტეტული მნიშვნელობა ზოგადი პროფესიული განათლების სფეროში და ყურადღება გამახვილებულია მუსიკის მასწავლებელთა მომზადების დამკვიდრებულ ორ ძირითად მოდელზე – ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო სკოლებისთვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკალური პედაგოგიკის მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების ანალიზი. ასევე, მოხსენების ავტორები წარმოგიდგენენ კონსერვატორიაში ბოლო წლების განმავლობაში წარმატებულად განხორციელებულ „მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას“; აღწერილია მისი სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგიური ინოვაციური ასპექტები, რომელთა რეალიზაცია აყალიბებს მუსიკის პედაგოგების ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს. მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პროგრამის შემდგომი განვითარების აუცილებლობასა და რეალურ განხორციელებაზე, ისეთი მოდელის შექმნის პერსპექტივით, რომელიც თანამედროვე შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა სასწავლო ფორმატისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, საშუალებას მოგვცემს მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ხელმისაწვდომი გაგზადოთ საქართველოს რეგიონებში; აქცენტის დედაქალაქიდან პერიფერიაზე გადატანა კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ძალზედ აქტუალურ პრობლემას – ზოგადი მუსიკალურ-პედაგოგიური განათლების დონის ამაღლებას ქვეყნის კულტურული პოლიტიკის კონტექსტში.





მარინა ქავთარაძე  
Marina Kavtaradze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

მარინა ქავთარაძე, მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი; სადოქტორო პროგრამის „მუსიკოლოგიური კვლევების“ ხელმძღვანელი; რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“ მთავარი რედაქტორი. კონსერვატორიაში კითხულობს რამდენიმე საავტორო სპეც-კურსს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 14 სადოქტორო დისერტაცია. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მისი შრომები გამოცემულია საქართველოში, გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-ში, რუსეთში. სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია კულტურათაშორისი ურთიერთობის, მულტიკულტურალიზმისა და ეროვნული იდენტობის, ტოტალიტარიზმისა და მუსიკის, ქართული მუსიკის ისტორიის, მუსიკალური თეატრის და სხვა პრობლემებისა. დაჯილდოებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს პრიზით „საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომისათვის“ (2012).

### მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა: იდენტობების დისკურსი და ნარატივები

მოხსენება წარმოადგენს მცდელობას დროის დისტანციიდან მოხდეს მეოცე საუკუნის ქართული მუსიკის შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რას წარმოადგენს ჩვენი უახლოესი წარსულის მუსიკალური კულტურის ფენომენი იდენტობის კუთხით. მეოცე საუკუნის ქართულ მუსიკაში შეიქმნა ერთი მეგანარატივი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: 1) ეთნიკური ნარატივი – ქართველი, მაშასადამე ქართული წარმომავლობის; 2) მართლმადიდებლური ნარატივი – ქართველი, მაშასადამე რწმუნით ქრისტიანი; 3) ევროპული ნარატივი – „ქართველი, მაშასადამე ევროპელი“; 4) საბჭოთა (რუსული) ნარატივი – ქართველი, მაშასადამე იმპერიის „დიდი ოჯახის“ წევრი. თითოეულ ამ ნარატივს აქვს მკაფიო ორიენტირები და მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რაც მეოცე საუკუნის ქართულ მუსიკაში მკაფიოდ ჩანს და ვლინდება ლოკალურისა და გლობალურის, მეინსტრიმულისა და მარგინალურის ურთიერთობის სტადიურ პროცესში. იდენტობების ნარატივები ქმნიან მუსიკალური კულტურის ფართო პანორამას ხშირად ყალბ ნარატივებზე დამყარებული შელამაზებული რეალობით. აღნიშნული პროცესი მოიცავს ქართული მუსიკის ყველა ჟანრს, მაღალსა და „დაბალს“, აკადემიური და პოპმუსიკის სფეროებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული კულტურის წინაშე დადგა პრობლემა, რამდენად მნიშვნელოვანია პოსტ-პოსტმოდერნიზმის ხანაში ის, თუ რა იდენტობაზე იქნება დაშენებული მომავალი ქართული მუსიკალური ხელოვნება? იდენტობის რა ახალი ნარატივები ჩნდება თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში?

Musicologist, Ph.D. is a full professor at the V. Saradzhishvili Tbilisi State Conservatoire and Head of the Department of Music History; Head of the PhD Programme “Musicological Studies”, Editor-in-Chief of the peer-reviewed electronic academic journal “Musicology and Cultural Studies”. <https://gesj.internet-academy.org.ge/en/title-en.php?b=sec=&section=l=muz> He teaches special author lecture courses at the Conservatoire, 14 doctoral theses have been defended under his supervision. Her research interests include intercultural relations, multiculturalism and national identity, totalitarianism and music, history of Georgian music, music theatre and other topics. She is the author of more than 100 scientific works published in Georgia, Germany, France, USA and Russia. She was awarded the Prize of the Georgian Ministry of Culture for the “Best Musicological Work” (2012).

### Georgian music of the twentieth century: discourse and narratives of identities

The report is an attempt to evaluate Georgian music of the Soviet period of the twentieth century from a temporal distance and to reflect on what the phenomenon of musical culture of our recent past represents in terms of identity. Georgian music of the twentieth century forms a single mega-narrative consisting of several parts: 1) Ethnic narrative – Georgian means a person of Georgian origin; 2) Orthodox narrative – Georgian means Christian in faith; 3) European narrative – “Georgian means European”; 4) Soviet (Russian) narrative – Georgian means a member of the “Great family” of the empire; Each of these narratives has clear reference points and identifiers that are clearly visible in Georgian music of the 20th century and manifest themselves in the process of the relationship between the global and the local, the mainstream and the marginal. The narratives of the identity discourse create a broad panorama of music culture and often gloss over reality on the basis of false narratives. This process runs through all genres of Georgian music: high and low, academic and popmusic. After independence, Georgian culture was confronted with the question of how important it is in the post-postmodern era on which identity the future Georgian musical art will be based. What new narratives of identity are emerging in contemporary Georgian art?

Musicologist, Associate Professor, Doctor of Arts and member of the Georgian Composers' Union. She is the head of the dissertation council at the Tbilisi State Conservatoire, and a lecturer at the Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. She is a recipient of the Zakaria Paliashvili Scholarship and the Presidential Scholarship of Georgia. Her research interests include transculturalism in music, multimedia music, interdisciplinary studies: music and literature, music and sustainable development, eco-music, Christian semantics and music, transhumanism and music, politics and music. She actively participates in national and international conferences.

### From the "Centre" to the Periphery: The Impact of Soviet Ideology on Georgian Mass Songs, Cantatas, and Operas (1920s-1950s)

The article examines how the style of Georgian mass songs, cantatas-oratorios and operas from the 1920s to the 1950s was shaped by centralised governance in the USSR, following directives from the "centre". The aim is to discuss how the externally imposed ideology and centralised control system transformed the cultural life of Georgia — the centre of the Caucasus in the previous decade — into a peripheral one. Based on these objectives, the analysis included the following subtasks: a) The impact of the USSR's socio-political agenda and Marxist-Leninist ideology on the arts; b) The process of dissemination of artistic directives from the "centre" to the "periphery"; c) Analysis of key examples of the above-mentioned musical genres in the context of the research problem. As the article explores the intersection of art and its political context, a multidisciplinary research approach is essential. The study employs historical and archival research methods, political discourse analysis, and comparative (stylistic) and semiotic analysis. The theoretical framework is based on the work of Naliwajek-Mazurek, Schwarz, Schmelz, Tomoff, Groys, Finkel, McIlroy, Campbell, Kotkina, Kavtaradze, Sharikadze and Sigua.

The research revealed the following: A federal, centralised, "supranational" Soviet Union established a centre-periphery arts policy; the socialist realism imposed on Georgian culture by the "centre" led to the neglect of Georgia's secular professional choral and operatic traditions, which had flourished in the early 20th century; by promoting themes of industrialisation, socialist labour, patriotic narratives and the glorification of Soviet life, these stylistically interrelated genres were used to advance communist ideology; the musical style was shaped by simple, memorable melodies, largely based on folk songs and march rhythms; the conceptual-ideological framework of the music was based on the idea of the "Soviet people" as a "people". As a result, the musical style was characterised by simple, memorable melodies, largely based on folk songs, diatonic harmonies and march-like rhythms; the conceptual-ideological and intonational connection between mass songs, cantata-oratorios and operatic works gave rise to certain rhythmic-intonational models. In conclusion, despite the formal sovereignty and cultural autonomy of the republics, Soviet ideology and socialist realism determined artistic processes, transforming national cultural identities into Soviet ones through a centralised cultural policy.

## გვანცა ღვინჯილია Gvantsa Ghvinjilia

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire




PARTICIPANTS  
მონაწილეები

მუსიკოლოგი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგი. ზ. ფალიაშვილის და საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს: ტრანსკულტურალიზმი მუსიკაში, მულტიმედია მუსიკა, ინტერდისციპლინური კვლევები: მუსიკა და ლიტერატურა; მუსიკა და მდგრადი განვითარება, ეკო-მუსიკა, ქრისტიანული სემანტიკა და მუსიკა, ტრანსჰუმანიზმი და მუსიკა, პოლიტიკა და მუსიკა; იგი სისტემატურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.

### „ცენტრიდან“ პერიფერიამდე: საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა ქართულ მასობრივ სიმღერებზე, კანტატებსა და ოპერებზე (1920-1950-იანი წლები)

მოხსენება ეძღვნება 1920-1950-იანი წლების ქართული მასობრივი სიმღერების, კანტატა-ორატორიების და ოპერების სტილის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეფუძნა „ცენტრის“ დირექტივებს სსრკ-ს ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში. ნაშრომში გამოკვლეულია როგორ გარდაქმნა თავსმოხვეულობა საბჭოთა იდეოლოგიამ და ცენტრალიზებული კონტროლის სისტემამ კულტურული ცხოვრება საქართველოში, რომელიც წინა ათწლეულებში კავკასიის კულტურულ ცენტრად გვევლინებოდა. კვლევის პროცესში დადგინდა სსრკ-ს სოციალურ-პოლიტიკური დღის წესრიგის და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენა ხელოვნებაზე, სახელოვნებო დირექტივების „ცენტრიდან“ „პერიფერიებზე“ გავრცელების პროცესი, გემოალიზებული მუსიკალური ჟანრების ცალკეული საკვანძო მნიშვნელობის ნიმუშების ანალიზი სტატიაში დასმული პრობლემების კონტექსტში. საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია ისტორიული და საარქივო კვლევის მეთოდები, პოლიტიკური დისკურსის ანალიზის, სტილის კომპარატიული და სემიოტიკური ანალიზის მეთოდები. კვლევისთვის მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებაში ვეყრდნობი ნალივაკა-მაზურეკის, შვარცის, შმელცის, ტომოფის, გროისის, ფინკელის, მაკილორის, კემპელის, კოტკინას, ქავთარაძის, შარიკაძის და სიგუას სამეცნიერო შრომებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ: ფედერალურმა, ცენტრალიზებულმა „გენაციონალურმა“ საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა ცენტრის მიერ მართული პერიფერიის სახელოვნებო პოლიტიკა; „ცენტრის“ მიერ ქართულ კულტურაზე თავსმოხვეულობა სოციალისტურმა რეალიზმმა გამოიწვია მე-20 საუკუნის დასაწყისში მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ეროვნული საერო პროფესიული საგუნდო და საოპერო ტრადიციების უგულვებელყოფა; სტილისტურად ეს ურთიერთდაკავშირებული მუსიკალური ჟანრები, მათში ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური შრომის, პატრიოტული ნარატივებისა და საბჭოთა ცხოვრების განდიდების თემების წახალისებით, კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდისტის გამოიყენეს. უმეტესად ხალხურ სიმღერებზე და დიატონურ ჰარმონიებზე დაყრდნობილმა, მარტივად დასამახსოვრებელმა მელოდიებმა და მარშისებრმა რიტმებმა ჩამოაყალიბა ამ ეპოქის მუსიკალური სტილი; კონცეპტუალურ-იდეოლოგიური და ინტონაციური კავშირი მასობრივ სიმღერებს, კანტატა-ორატორიებს და ოპერებს შორის აყალიბებს გარკვეულ რიტმულ-ინტონაციურ მოდელებს. ამრიგად, რესპუბლიკების ფორმალური სუვერენიტეტისა და კულტურული ავტონომიის მიუხედავად, საბჭოთა იდეოლოგიამ და სოციალისტურმა რეალიზმმა განსაზღვრა მხატვრულ პროცესები და ცენტრალიზებული კულტურული პოლიტიკის წყალობით ეროვნული კულტურული იდენტობები საბჭოთა იდენტობად გარდაქმნა.



ეკა ჭაბაშვილი  
Eka Chabashvili

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

კომპოზიტორი, მხატვრული მკვლევარი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი. ხშირად იწვევენ საერთაშორისო ფესტივალებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც სრულდება მისი ნაწარმოებები. ჭაბაშვილის ნამუშევრებმა მიიპყრო კარლჰაინც შტოკჰაუზენის ყურადღება, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი საკომპოზიციო ტექნიკა ორიგინალური და საინტერესოა. როგორც მკვლევარი, ჭაბაშვილი იკვლევს ვიზუალური და ხმოვანი საწყისების სინკრეტიზმის პრობლემებს; ავტორია მულტიმედია კომპოზიციის ტექნიკისა და ატომურ-ბირთვული მუსიკალური სისტემის, რომლის შესახებ ქართულ და უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი სტატიები. მან ასევე შეიმუშავა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტის KHMA -ჩასაბერი, სიმებიანი და დასარტყამი ინსტრუმენტების კომბინაცია. პიანისტებთან ნინო და თამარ ჟვანიებთან ერთად ჩატარებული მხატვრული კვლევითი პროექტის, „21-ე საუკუნის ფორტეპიანო და მისი მომავლის პერსპექტივები“, ფარგლებში განახორციელა ფორტეპიანოს მოდიფიცირება და ფორტეპიანოს ოსტატ ალ. ზირაქაშვილის დახმარებით შექმნა ეკო-ფორტეპიანო ModEkAl. ამჟამად ხელმძღვანელობს შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ფუნდამენტურ კვლევით პროექტს „ეკომუსიკოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა ქართული მუსიკის ეკოსისტემის შესწავლისთვის“.

### „ხმოვან რაზმში“ ხმოვანი ინსტალაციის ეკომუსიკალური წყობა

მუსიკალური ინსტრუმენტი ყოველთვის ასახავს იმ ეპოქას, რომელშიც ის შეიქმნა. მისი სტრუქტურის, წყობის, მუსიკალური სისტემისა და შესრულების ტექნიკის გამო, ის შეიძლება ჩაითვალოს მუსიკალურ მემკვიდრედ, რომელიც ბევრს მოგვითხრობს იმ ეპოქის მუსიკალურ ესთეტიკაზე, რომელსაც ეკუთვნის. ყოველი ეპოქის ინსტრუმენტი ადაპტირებას განიცდის შესაბამისი მუსიკალური აზროვნების პრინციპებთან, რომ ინსტრუმენტს მართლაც თანამედროვე მუსიკის შესაფერისი ჟღერადობას ჰქონდეს. თუმცა ნებისმიერი ინსტრუმენტის მოდიფიცირებისას აუცილებელია მასში შენახული კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინება. ჩვენ გვაქვს ინსტრუმენტების მოდიფიკაციის უამრავი ნათელი მაგალითი. ყველა შემთხვევაში, ინსტრუმენტები ინარჩუნებენ თავის ძირითად არსს.

ამ მოხსენების მიზანია წინანდლის ბაღის გარემოში ჩანერგილი ინტერაქტიული ხმოვანი ინსტალაციის კონსტრუქციის გაცნობა და ეკო-მუსიკალური წყობის პრინციპების, საშემსრულებლო შესაძლებლობებისა და ხმოვანების მახასიათებლების აღწერა.

Composer, artistic researcher, DMA, Associate Professor of Tbilisi State Conservatoire. Her compositions are performed worldwide and she is frequently invited to international festivals. Chabashvili's works grasped the attention of K.Stockhausen who noted that her compositional technique is original and interesting. As a researcher, Chabashvili studies problems of musical genetics and syncretism of visual and music; she is the author of the multi-topophonic composition technique and atomic-nuclear music system – issues covered in Georgian and foreign publications. She also developed a concept of a new music instrument KHMA (combination of wind, string and percussive instruments). Within the framework of the artistic research project Piano of the 21st Century and its Future Perspectives, she conducted together with pianists Nino and Tamar Zhvania, she developed a modified piano – eco-piano ModEkAl. Currently, she leads the fundamental research project Implementation of Ecomusicology Research Methodology for the Study of the Georgian Music Ecosystem financed by Rustaveli National Science Foundation.

### Ecomusical Tuning of the Sound Land Art in “Sound Oasis”

A musical instrument always reflects the era in which it was created. Due to its structure, tuning system and performance technique, it can be considered a musical chronicler that tells a lot about the musical aesthetics of the era to which it belongs. Each era adapts the instrument to the principles of the corresponding musical thinking so that the sound of the instrument has a truly modern essence. When modifying any instrument, it is necessary to take into consideration the cultural memory stored in it. We have numerous vivid examples of instrument modifications. In all cases, instruments retain their essence. The purpose of this article is to introduce the interactive Sound Installation implanted in the environment of Tsinandali garden and description of the eco musical tuning principles and sound features of construction.



Composer, Researcher, Ph.D. in History of Arts (2015), Senior Researcher (2022). Deputy director for scientific affairs at the Modern Art Research Institute of the National Academy of Arts of Ukraine; Associate Professor at the Kyiv National P.I. Tchaikovsky Music Academy; Member of the National Union of Composers of Ukraine; Member of the Ukrainian section of the ISCM. Was born in 1986 (Telavi, Georgia). Since 1994, I have lived in Ukraine. Graduated from Odesa State Music Academy A. V. Nezhdanova with Prof. K. Tsepkolenko (2006) and postgraduate studies at Kyiv National P. I. Tchaikovsky Music Academy with Prof. Ye. Stankovych (2010). In 2015, defended PhD thesis on the topic "Conceptual synthesis in modern Ukrainian artistic culture (on the material of chamber music)." In 2023-2024 years – VUIAS fellow in Open Society University Network/CEU Institute of Advanced Study (Budapest) with project "Posthumanist Tendencies in the Art of the XX-XXI Centuries."

### Dehierarchization Processes in Art: Posthumanist Optics

In contemporary art, processes of de-hierarchization are increasingly evident, manifesting in several directions. Firstly, branched network models of collaboration are replacing the traditional "author" as the central figure. These models let users change the group work, which weakens the "filters" that institutions have in place. Secondly, there is a growing focus on interactivity and active engagement with the environment, particularly in ecological and technological contexts. Thirdly, the democratization of the creative process is being strengthened by generative web resources, which enable people without specialized skills to create visual or audio creative projects. These trends are particularly important in the context of posthumanist theory, which rethinks anthropocentrism and proposes new ways of coexistence between people, technology, and the environment. Thanks to the introduction of artificial intelligence, algorithmic approaches, and interactive online platforms, models of authorship, control over the creative process, and the format of the artistic work are significantly transformed. It is also worth drawing a parallel between these processes and the evolution of Internet technologies, from the static Web 1.0 to the exciting Web 3.0. This transformation reflects the transition from passive consumption of artistic content to dynamic audience interaction with web content. Thus, combining technological innovations with posthumanist approaches turns dehierarchization into one of the leading characteristics of contemporary art. It forms multi-level structures of relationships that rethink the place of humans in the universe and create new forms of joint creativity.



კომპოზიტორი, მკვლევარი, ხელოვნების ისტორიის დოქტორი (2015), უფროსი მკვლევარი (2022). უკრაინის ხელოვნების ეროვნული აკადემიის თანამედროვე ხელოვნების კვლევის ინსტიტუტის სამეცნიერო ურთიერთობების მიმართულების დირექტორის მოადგილე; კიევის ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკის ეროვნული აკადემიის ასოცირებული პროფესორი, უკრაინის კომპოზიტორთა ეროვნული გაერთიანების წევრი, თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო საზოგადოების უკრაინის სექციის წევრი. 2015 წელს დაამთავრა კიევის მუსიკის ეროვნული აკადემია და მიიღო დოქტორის ხარისხი დისერტაციისთვის „კონცეპტუალური სინთეზი თანამედროვე უკრაინულ მხატვრულ კულტურაში (კამერული მუსიკის მასალაზე)“. 2023-2024 წლებში იყო უკრაინის მოწინავე კვლევების ვირტუალური ინსტიტუტის (VUIAS) სტიპენდიატი ღია საზოგადოების უნივერსიტეტების ქსელში/CEU-ს მოწინავე კვლევების ინსტიტუტში (ბუდაპეშტი) პროექტით „პოსტჰუმანისტური ტენდენციები XX-XXI საუკუნეების ხელოვნებაში“.

### დეიერარქიზაციის პროცესები ხელოვნებაში: პოსტჰუმანისტური პრიზმა

თანამედროვე ხელოვნებაში დეიერარქიზაციის პროცესები სულ უფრო თვალსაჩინო გამოვლინება რამდენიმე მიმართულებით ვლინდება. პირველი: თანამშრომლობის განშტოებული ქსელური მოდელები ცვლის ტრადიციულ „ავტორს“, როგორც ცენტრალურ ფიგურას. ეს მოდელები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეცვალონ ჯგუფური მუშაობა, რაც ასუსტებს ინსტიტუტების მიერ დანერგილ „ფილტრებს“. მეორე: მზარდი ყურადღება ეთმობა ინტერაქციულობასა და გარემოსთან აქტიურ ურთიერთქმედებას, განსაკუთრებით ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ კონტექსტში. მესამე, შემოქმედებითი პროცესის დემოკრატიზაციას აძლიერებს გენერაციული ვებ-რესურსები, რომლებიც საშუალებას აძლევს სპეციალიზებული უნარების არმქონე ადამიანებს შექმნან ვიზუალური- ან აუდიო შემოქმედებითი პროექტები. ეს ტენდენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტჰუმანისტური თეორიის კონტექსტში, რომელიც ანთროპოცენტრიზმის გადააზრება და ადამიანებს, ტექნოლოგიასა და გარემოს შორის თანაარსებობის ახალი გზების შემოთავაზება ხდება. ხელოვნური ინტელექტის, ალგორითმული მიდგომებისა და ინტერაქციული ონლაინ-პლატფორმების დანერგვის წყალობით, ავტორობის მოდელები, შემოქმედებითი პროცესის კონტროლი და მხატვრული ნაწარმოების ფორმატი მნიშვნელოვნად გარდაისახა. ვფიქრობთ, უპრიანია პარალელის გაგება ამ პროცესებსა და ინტერნეტ-ტექნოლოგიების ევოლუციას შორის, სტატიკური Web 1.0-დან ალმაფრთოვანებელ Web 3.0-მდე. ეს ტრანსფორმაცია ასახავს მხატვრული შინაარსის პასიური მოხმარებიდან ვებ-კონტენტთან აუდიტორიის დინამიკურ ურთიერთქმედებაზე გადასვლას. ამგვარად, ტექნოლოგიური ინოვაციების შერწყმა პოსტჰუმანისტურ მიდგომებთან, განაპირობებს დეიერარქიზაციის თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან მახასიათებლად ქცევას. იქმნება ურთიერთობების მრავალდონიანი სტრუქტურები, რომლებიც ხელახლა აფასებენ ადამიანების ადგილს სამყაროში და ქმნიან ერთობლივი შემოქმედების ახალ ფორმებს.





ალექსანდრე ჭოხონელიძე  
Alexander Chokhnelidze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
Tbilisi State Conservatoire

კომპოზიტორი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი და მოწვეული პედაგოგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში („თამაშის მუსიკა“, „აკუსტიკა“, „ხმის ფიზიკა“, „სიმფონიური პარტიტურის კითხვა“, „XX საუკუნის კომპოზიციური ტექნიკები“). თამაშის ხმის დიზაინის ტუტორი. ფლობს საერთაშორისო ურთიერთობებისა (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი) და კომპოზიციის დოქტორის ხარისხს (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია). მისი დისერტაცია ეხებოდა სპექტროგრამისა და „ტემბრული სივრცის“ კვლევას საქართველოში. მონაწილეობდა სემინარებში, როგორიცაა „SEO SPSS-ში“, „თამაშების სოციალური მედიის პოპულარიზაცია“, „იპონური ენის ტრენინგი“ (ოსაკა). ასწავლის თამაშის აუდიო დიზაინს CES-ში, გამართა მასტერკლასი კრაკოვში. მკვლევართა ჯგუფის წევრია პროექტში [FR-22-8174], რომელიც ფინანსდება რუსთაველის ფონდის მიერ.

### სპექტროგრამის ანალიზი ეკო-ლანდშაფტის ხმაურის დაბინძურების შეფასებისა და შემცირებისათვის

ხმაურის დაბინძურება თანამედროვე გარემოს დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც ზიანს აყენებს ეკოსისტემებსა და ადამიანის ჯანმრთელობას. ტრადიციული დეციბელური გაზომვები ხშირად ვერ უზრუნველყოფს საკმარის ინფორმაციას ხმაურის სიხშირული შემადგენლობის შესახებ. სპექტროგრამული ანალიზი კი საშუალებას გვაძლევს, უფრო სიღრმისეულად გამოვიკვლიოთ ხმაურის ენერგეტიკული განაწილება დროში და სიხშირეებში. ამ კვლევის მიზანია სპექტროგრამების გამოყენებით ეკო-ლანდშაფტებში ხმაურის დაბინძურების შეფასება. გარემოს ხმოვანი სიხშირეების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ინდუსტრიული, სატრანსპორტო და სამშენებლო ხმაურის ზუსტი იდენტიფიკაცია. გარდა ამისა, სპექტროგრამული მეთოდი გვცხადებს შეგავსაშთ ხმაურის გავლენა მგრძნობიარე ეკოსისტემებზე, როგორიცაა ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები, რაც ხელს შეუწყობს ხმაურის შემცირების უფრო ეფექტური სტრატეგიების შემუშავებას.

Composer, international relations specialist and visiting lecturer at the Tbilisi State Conservatory Composition Department (in “TV, Radio, Game Music”, “Acoustics”, “Sound Physics”, “Symphonic Score Reading” and “XX Century Composition Techniques”). He also works as a game sound design tutor. Alexander holds a PhD in International Relations (Tbilisi Free University) and a Doctorate in Music Composition (Tbilisi State Conservatory). His dissertation was on the introduction of spectrogram and “timbral space” research methods in Georgia. Also the construction of 3D timbral models. Alexander has participated in many different seminars, from “SEO Basics in SPSS” and “Game Social Media Promotion” to “Japanese Language Training” at Kansai Institute, Osaka, He tutors Game Audio Design at Creative Education Studio (CES) and organised a workshop on the same topic at Krakow Academy of Music. Alex intends to become a full video game developer in time. He is currently a member of a research group conducting basic research “Implementation of Ecomusicology Research Methodology for the Study of the Georgian Music Ecosystem” [FR-22-8174] funded by the Rustaveli National Science Foundation of Georgia.

### Spectrogram Analysis for Eco-Landscape Noise Pollution Assessment and Mitigation

Noise pollution is a growing environmental problem with significant negative impacts on ecosystems and human health. Traditional decibel measurements provide limited insight into the frequency composition of noise. Spectrograms, however, provide a more comprehensive analysis by visualising the distribution of sound energy over frequency and time. This research proposes the use of spectrograms to assess noise exposure in eco-landscapes. By analysing environmental sound frequencies, we can identify specific noise sources such as industrial activities, transport and construction. Spectrograms also help to determine the impact of noise on sensitive ecosystems, such as forests and wetlands.



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კვლევის კოორდინაციის დეპარტამენტი

**Tbilisi State Conservatoire research coordination department**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

გიორგი ვაჩნაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

Chair-person of the organizing committee:

**George Vatchnadze, Rector of Tbilisi State Conservatoire**

სამეცნიერო კომიტეტი:

პიტერ ჯ. შმელცი, მარინა ქავთარაძე, ოთარ კაპანაძე, რუსუდან თაბაგარი

Scientific program committee:

**Peter J. Schmelz, Marina Kavtaradze, Otar Kapanadze, Rusudan Tabagari**

საორგანიზაციო კომიტეტი:

მაია სიგუა, მაია (მაკა) ვირსალაძე, თეა ტიგინაშვილი, რუსუდან თაბაგარი,  
ლია ქართლელიშვილი

Organizing committee:

**Maia Sigua, Maya (Maka) Virsaladze, Tea Tiginashvili, Rusudan Tabagari, Lia Kartlelishvili**

ტექნიკური უზრუნველყოფა: გიორგი დოროკაშვილი, ნიკოლოზ მარიამიძე

Technical Support: **Giorgi Dorokashvili, Nikoloz Mariamidze**

საზოგადოებასთან ურთიერთობა: სოფო ხაჭაპურიძე

Public Relationship: **Sofia Khachapuridze**

მოხალისეები:

ანა დანდა, ზუზანა დანიეცი

Volunteers:

**Anna Dańda, Zuzanna Daniec**

კონფერენციის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდით:

კონსერვატორიის ადმინისტრაციას და ხელმძღვანელს, გიორგი ზაკარაიას

სასტუმრო „რივერსაიდს“ და დიმიტრი შველიძეს

პირადად: ნინო აფრიამაშვილს

The conference organizers are most grateful to:

**Administration of the Tbilisi State Conservatory and its head, Giorgi Zakaraia**

**Hotel “River Side” and Dimitri Shvelidze**

Personally to: **Nino Apriamashvili**



კონფერენცია ტარდება  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიაში

THE CONFERENCE IS HELD AT  
THE VANO SARAJISHVILI TBILISI STATE  
CONSERVATOIRE

საკონტაქტო ინფორმაცია:  
სამეცნიერო უკუკავშირის  
კოორდინაციის დეპარტამენტი

Contact details:  
SCIENTIFIC RESEARCH  
COORDINATION DEPARTMENT

გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108. საქართველო

8/10, Griboedov str., Tbilisi, 0108, Georgia

[www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)

[science@tsc.edu.ge](mailto:science@tsc.edu.ge)

(+995 32) 2 98 71 88

## ბუქლეტზე მუშაობდნენ

კონფერენციის ლოგოს დიზაინი:  
კომპიუტერული დიზაინი:

მაია სიგუა  
მაკა ვირსალაძე  
მარიამ პოლტახიენტი  
შალვა ცხოვრებაძე  
ნინო აფრიამაშვილი

## COMPILED BY

Conference Logo Design:  
Computer Design:

Maia Sigua  
Maya (Maka) Virsaladze  
Mariam Poltakhienti  
Shalva Tskhovrebadze  
Nino Apriamashvili